

არაოფიციალური თარგმანი

ბრიუსელი, 23 აპრილი 2009

ევროკომისიის სამუშაო დოკუმენტი,

რომელიც თან ერთვის

ევროკავშირის კომუნიკაციას ევროპარლამენტისა და ევროკავშირის საბჭოსთვის

ევროპის სამეზობლო პოლიტიკის განხორციელება

შუალედური ანგარიში

(COM (2009) 188)

(SEC (2009) 511)

(SEC (2009) 512)

(SEC (2009) 514)

(SEC (2009) 515)

(SEC (2009) 516)

(SEC (2009) 517)

(SEC (2009) 518)

(SEC (2009) 519)

(SEC (2009) 520)

(SEC (2009) 521)

(SEC (2009) 522)

(SEC (2009) 523)

1. საფუძვლები და ზოგადი შეფასება

საქართველოს და ევროკავშირს შორის ოფიციალური ურთიერთობები 1996 წელს, „პარტნიორობის და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების“ ხელმოწერით დაიწყო. შეთანხმება 1999 წელს შევიდა ძალაში. ამ შეთანხმების საფუძველზე ევროკავშირმა და საქართველომ შეიმუშავეს და 5 წლის ვადით მიიღეს „სამოქმედო გეგმა“. გეგმის განხორციელებაზე დაწესებულია მონიტორინგი, რომელიც ხორციელდება ყოველწლიური მექანიზმების გამოყენებით. ეს მექანიზმები ითვალისწინებს კონკრეტული პირველხარისხოვანი ამოცანების და ვადების განსაზღვრას და იმ პრიორიტეტებს ემყარება, რომლებიც ევროკავშირსა და საქართველოს შორისაა შეთანხმებული. მიღწეული შედეგების შესახებ პირველი შუალედური ანგარიში 2008 წლის აპრილში გამოქვეყნდა.

ამასთან, ინსტიტუციურმა თანამშრომლობამ, რომელიც ევროკავშირი– საქართველოს თანამშრომლობის საბჭოს საშუალებით ხორციელდება, საპარლამენტო თანამშრომლობის კომიტეტი და ვაჭრობის, ეკონომიკის და ამ სფეროებთან დაკავშირებული სამართლებრივი საკითხების, ასევე სამართლის, თავისუფლების და უსაფრთხოების ქვეკომიტეტების საშუალებით, შესაძლებლობა მისცა მხარეებს გადადგან ნაბიჯები და განახორციელონ ევროკავშირის სამოქმედო გეგმა.

ეს დოკუმენტი ასახავს იმ ნაბიჯებს, რომლებიც საქართველომ გადადგა 2008 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე – ევროკავშირი საქართველოს სამოქმედო გეგმის განხორციელების პროცესში გადადგა, თუმცა, საჭიროებიდან გამომდინარე, განხილულია საანგარიშო პერიოდის გასვლის შემდეგ მომხდარი მოვლენებიც. ეს დოკუმენტი არ წარმოადგენს საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური და ეკონომიკური სიტუაციის მიმოხილვას.

2008 წელს მოხდა რამდენიმე მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელმაც ევროკავშირის სამოქმედო გეგმის განხორციელება შეაფერხა. ვადამდელი საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნები ძალზე პოლარიზებულ ატმოსფეროში ჩატარდა. მას მოყვა ხანგრძლივი პაუზა საპარლამენტო მუშაობაში და რამოდენიმე ცვლილება მინისტრთა კაბინეტში. 2008 წლის განმავლობაში რუსეთმა გადადგა ნაბიჯები სამრეთ ოსეთში და აფხაზეთში სეპარატისტებთან კავშირების გასამყარებლად, ამასთან, ცალმხრივად მოხსნა დსთ–ს მიერ ამ რეგიონებისთვის დაწესებული ეკონომიკური სანქციები. სამხრედრო ინციდენტებმა და პროვოკაციებმა კულმინაციას მიაღწია 2008 წლის აგვისტოში, როდესაც მოხდა შეიარაღებული კონფლიქტი რუსეთთან სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე კონტროლის დაწესების გამო. კონფლიქტის შედეგად ასეულობით ადამიანი დაიღუპა და დაახლოებით 192 000 ადამიანი უსახლკაროდ დარჩა, აქედან 30 000 უახლოებს მომავალში ვეღარ შეძლებს თავის საცხოვრებელ ადგილას დაბრუნებას, დიდი ზარალი მიაღდა გარემოს და საქართველოს ტერიტორიაზე 7000 რუსი სამხედრო განლაგდა. ევროკავშირის დახმარებით მოხდა ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმებისა და ამ შეთანხმების განხორციელების უფრო დეტალური გეგმის ხელმოწერა.

ევროკავშირის და საერთაშორისო დახმარების წყალობით, საქართველოს მთავრობამ სწრაფად და ეფექტურად იმოქმედა საგანგებო სიტუაციაში, განსაკუთრებით ზამთრის დადგომამდე იძულებით გადაადგილებულ პირთა ახალი ნაკადის საცხოვრებელი უზრუნველყოფის თვალსაზრისით. კონფლიქტის შედეგად რუსეთის მიერ აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის აღიარებამ და ორ სეპარატისტულ რეგიონში რუსული შეიარაღებული ძალების გაძლიერებამ საქართველოს მთავრობის თანხმობის გარეშე, დაარღვია საქართველოს სუვერენობა და გაართულა ამ კონფლიქტების მშვიდობიანი და ხანგრძლივი ვადით მოგვარება. ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმება ევროკავშირის დახმარებით იქნა ხელმოწერილი. 2008 წლის 1 სექტემბერს ევროკავშირის საბჭომ გამოხატა სააქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მტკიცე მხარდაჭერა და გადაწყვიტა საგრძნობი პოლიტიკური, ფინანსური და პრაქტიკული დახმარება გაეწია საქართველოსთვის, იმისთვის, რომ მომხდარიყო სიტუაციის სტაბილიზაცია უსაფრთხოების და ჰუმანიტარული თვალსაზრისით. ამ დახმარებაში იგულისხმებოდა ევროკავშირის სამოქალაქო მონიტორინგის მისიის გამოგზავნა, საერთაშორისო დონორთა კონფერენციის ორგანიზება, კრიზისის საკითხებზე მომუშავე ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენლის დანიშვნა; საერთაშორისო საგამომიებო მისიის შექმნა, რომელიც კონფლიქტის მიზეზებს გამოიკვლევდა და ევროკავშირსა და საქართველოს შორის ზოგადი ურთიერთობების განმტკიცება.

რთული კონტექსტის მიუხედავად, საქართველომ შეძლო გადაედგა ნაბიჯები ევროკავშირის სამოქმედო გეგმის განხორციელების მიმართულებით. ძირითადი მიღწევა საანგარიშო პერიოდში იყო კორუფციასთან ბრძოლის გაგრძელება, რეფორმები კანონის უზენაესობის სფეროში, განსაკუთრებით სამართლის ხელმისაწვდომების, პენიტენციურ სისტემაში დაკავების პირობების გაუმჯობესების და წამების და არაადამიანური და ღირსების შემლახველი მოპყრობის წინააღმდეგ ბრძოლის თვალსაზრისით. ევროკავშირთან ინტენსიურ პოლიტიკურ თანამშრომლობას სტიმული მისცა საქართველოსთვის უფლების მინიჭებამ, შეერთებოდა ევროკავშირის საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის სფეროს 154 დეკლარაციიდან 117-ს. გადაიდგა ნაბიჯები ბიზნესის და საინვესტიციო კლიმატის გაუმჯობესებისთვის. მიღებულ იქნა სოფლის მეურნეობის სფეროს რეფორმის ეროვნული სტრატეგია, რომელიც 2009–12 წლებს მოიცავს. საქართველო განაგრობს თანამშრომლობას ევროკავშირთან ვაჭრობის საკითხებზე და ამ სფეროში გარკვეულ წარმატებასაც მიაღწია. ნაყოფიერი თანამშრომლობა დამყარდა საქართველოსთან სამართლის, თავისუფლების და უსაფრთხოების საკითხებზე, ახალი ქვეკომიტეტის შექმნის საშუალებით და ვიზების შესახებ დიალოგის წარმოებით, რომლის მიზანია ევროკავშირსა და საქართველოს შორის ვიზის გამარტივებასა და რეადმისიის შესახებ მოლაპარაკებების დაწყება. წინსვლა აღინიშნება, ასევე, განათლების და პროფესიული მომზადების სფეროში.

საქართველომ შედარებით ნაკლებ წინსვლას მიაღწია ევროკავშირის სამოქმედო გეგმის ძირითადი ამოცანების განხორციელებაში. მედიის თავისუფლება და პლურალიზმი შემოფოთების საგნად რჩება. 2009 წლის განმავლობაში განსახორციელებელ ამოცანებად

კვლავ რჩება პოლიტიკური რეფორმების დაჩქარება, ეკონომიკური გაჯანსაღება, იმულებით გადაადგილებულ პირთა ეროვნული სტრატეგიის ეფექტური განხორციელება და ევროკავშირის წესებთან მარეგულირებელი სისტემის მისადაგება. აგვისტოს კონფლიქტის ნეგატიურმა ზეგავლენამ საქართველოს ეკონომიკაზე, მსოფლიო ეკონომიკურ კრიზისთან ერთად კიდევ უფრო გაზარდა საჭიროება გრძელვადიანი სოციალურ-ეკონომიკური ამოცანების სწრაფად მოგვარების აუცილებლობა.

2. პოლიტიკური დიალოგი და რეფორმა

პოლიტიკური დიალოგისა და რეფორმის სფეროში დისახულ მიზნებს შორისაა: დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერება და ადამიანის უფლებების და ძირითადი თავისუფლებების პატივისცემა საქართველოს მიერ ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებების შესაბამისად; კანონის უზენაესობის გაძლიერება, განსაკუთრებით მარლმსაჯულების სისტემის, მათ შორის სასჯელაღსრულების სისტემის რეფორმირების საშუალებით; აგრეთვე, სახელმწიფო ინსტიტუტების მშენებლობის და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის გზით.

დემოკრატია და კანონის უზენაესობა

საპრეზიდენტო არჩევნები 2008 წლის იანვარში, ძალზე პოლარიზებულ პოლიტიკურ გარემოში ჩატარდა. მას წინ უძღვოდა 2007 წლის ნოემბრის სამოქალაქო არეულობა, რომელსაც საგანგებო მდგომარეობის გამოცხადება მოყვა. პრეზიდენტი სააკაშვილი მცირე სხვაობის წყალობით – 53.47% – მეორე საპრეზიდენტო ვადით იქნა არჩეული. მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო დამკვირვებლების აზრით ეს არჩევნები „ძირითადად შეესაბამებოდა დემოკრატიული არჩევნებისთვის დადგენილ საერთაშორისო სტანდარტების უმეტესობას“, მათ მიუთითეს მთელ რიგ სერიოზულ ნაკლოვანებებზე, მათ შორის იყო საარჩევნო კამპანიის მსვლელობისას სახელმწიფო რესურსების გამოყენება, მედიაში კანდიდატების დაუბალანსებელი გაშუქება, ამომრჩევლებზე ზეწოლის შემთხვევები, არჩევნების დღეს ჩასატარებელი საარჩევნო პროცედურების ბუნდოვანება, უზუსტობები ხმების დათვლის და დაჯამების დროს, როგორც ეს შარშანდელ ანგარიშშია აღწერილია. პოლიტიკურმა ოპოზიციამ არ აღიარა არჩევნების შედეგები და საარჩევნო პროცესი გაყალბებულად და დარღვევებით ჩატარებულად მიიჩნია.

2008 წლის მაისის საპარლამენტო არჩევნების წინ ნაწილობრივ აღმოიფხვრა ზოგიერთი ნაკლოვანება, მათ შორის, ევროკავშირის მიერ დაფინანსებული საარჩევნო დახმარების წყალობით. პარტიების მიერ პარლამენტში შესასვლელად საჭირო ბარიერი 7%-დან 5%-მდე შემცირდა; მნიშვნელოვნად გადახალისდა საარჩევნო სიები, ოპოზიციურ პარტიებს საშუალება მიეცათ, უკეთ ყოფილიყვნენ წარმოდგენილნი საარჩევნო კომისიებში, ასევე, დაიხვეწა და გამარტივდა საჩივრების შეტანის პროცედურები. საპარლამენტო უმრავლესობასა და ოპოზიციური პარტიების გაერთიანებას შორის მოლაპარაკებები

საარჩევნო კოდექსში დამატებითი შესწორებების შეტანის თაობაზე ჩაიშალა, რამაც კიდევ უფრო გაზარდა კონფრონტაციული პოლიტიკური გარემო.

მიუხედავად საარჩევნო სისტემის გაუმჯობესების მიზნით შეტანილი ცვლილებებისა, საერთაშორისო დამკვირვებლებმა 2008 წლის მაისის საპარლამენტო არჩევნებში დარღვევები აღმოაჩინეს, მათ შორის, ოპოზიციის კანდიდატებზე და სახელმწიფო სექტორში დასაქმებულებზე ზეწოლა, ნაკლები გამჭვირვალობა და ადექვატურობა შედეგების დაჯამების პროცესში, სახელმწიფოს არასაკმარისი გამოიყენა პარტიისგან და ერთიანი ნაციონალური მოძრაობისთვის ამკარა უპირატესობის მინიჭება. დამატებითი პრობლემები იქნა შემჩნეული საჩივრებზე და დარღვევებზე რეაგირების და მათი გამოძიების საქმეში.

2008 წლის მაისის არჩევნებში მმართველმა პარტიამ „ნაციონალურმა მოძრაობამ“ დიდი საკონსტიტუციო უმრავლესობით გაიმარჯვა. ოპოზიციის არჩეული წევრების უმრავლესობამ გადაწყვიტა პროტესტის ნიშნად უარი ეთქვა პარლამენტის მუშაობაში მონაწილეობაზე, რადგან, მათი აზრით, საარჩევნო დარღვევების და ახალი საარჩევნო წესების შედეგად, გამარჯვებულ უმრავლესობას უსამართლოდ მიენიჭა უპირატესობა. პოლიტიკური ჯგუფის შესაქმნელად საჭირო ხმების რაოდენობის შემცირების შედეგად, ოპოზიციურმა ქრისტიან-დემოკრატიულმა პარტიამ შეძლო პარლამენტში შესვლა. საპარლამენტო და არასაპარლამენტო ოპოზიციას უაღრესად კრიტიკული დამოკიდებულება აქვთ არსებული საარჩევნო კოდექსის რამოდენიმე ძირითადი საკითხის მიმართ და მის გადახალისებას მოითხოვენ.

2008 წლის სექტემბერში საქართველოს პრეზიდენტმა აღიარა, რომ „ვარდების რევოლუციამ“ მხოლოდ ნაწილობრივ შეძლო დემოკრატიული რეფორმების განხორციელება და გამოაცხადა „დემოკრატიული რეფორმების ახალი ტალღა“, რომელიც ითვალისწინებს პარლამენტის კონტროლის გაძლიერებას აღმასრულებელ ხელისუფლებაზე, კერძო საკუთრების ხელშეუხებლობის განმტკიცებას, მედიის თავისუფლების გაუმჯობესებას, სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის განმტკიცებას და დაფინანსების აღდგენას იმ ოპოზიციური პარტიებისთვის, რომლებმაც პარლამენტს ბოუკოტი გამოუცხადეს.

ზემოხსენებული რეფორმებიდან ზოგიერთი 2008 წლის ბოლოსთვის დაიწყო და ნაწილობრივ განხორციელდეს კიდევ. საპარლამენტო ოპოზიციის როლი საპარლამენტო კომიტეტებში მისი გაწევრიანების ხარჯზე გაძლიერდა (აგვისტოს ომის საპარლამენტო კომისიის თავმჯდომარეც საპარლამენტო ოპოზიციის წევრია); მოხდა, ასევე, საპარლამენტო ოპოზიციის ჩართვა საკონსტიტუციო რეფორმების ჯგუფში, იუსტიციის უმაღლეს საბჭოში და თავდაცვის და უშიშროების სფეროებზე საპარლამენტო ზედამხედველობის პროცესში. აღდგა კვალიფიციური პარტიების საბიუჯეტო დაფინანსება.

2008 წლის დეკემბერში, მიღებული იქნა ახალი კანონი და მის საფუძველზე ევროკავშირის და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად შეიქმნა კონტროლის პალატა (აუდიტორთა სასამართლო), თუმცა გაძნელდა და გაჭიანურდა ზოგიერთი მნიშვნელოვანი ელემენტის განხორციელება. 2008 წლის დეკემბერში პრეზიდენტის ინიციატივით კონსტიტუციაში შესულმა შესწორებებმა შეზღუდა პრეზიდენტის უფლება, დაითხოვოს პარლამენტი და გამარტივდა პარლამენტის მიერ მთავრობისთვის უნდობლობის გამოცხადების პროცედურა. ამ შესწორებების შეტანის მიზანი მისასალმებელია, თუმცა მხოლოდ შესწორებების შეტანა არ უზრუნველყოფს საპარლამენტო და საპრეზიდენტო ძალაუფლებას შორის ხელისუფლების თანაბარ დანაწილებას.

2008 წლის წინააღმდეგობრივმა პოლიტიკურმა მოვლენებმა დემოკრატიული რეფორმების სწრაფად გაგრძელებისა და დემოკრატიული ინტიტუტების განმტკიცების აუცილებლობა გამოავლინა. საქართველოს მთავრობის განსაკუთრებული მზადყოფნა შეიტანოს ახალი მუხტი დემოკრატიულ რეფორმებში გათვალისწინებული იქნა პოლიტიკური პირობების იმ პაკეტში, რომელიც პირდაპირ იყო დაკავშირებული ევროკავშირის უფრო დიდ კონფლიქტისშემდგომ დახმარებასთან. ამ დახმარების შესახებ მოლაპარაკება ევროკომისიასა და საქართველოს შორის 2008 წელს გაიმართა, ხოლო 2009 წელს საბოლოოდ შეთანხმდა.

2008 წლის სექტემბერში შემოთავაზებული იყო სისხლის სამართლის რეფორმის დაჩქარების ახალი გზები. შემოთავაზებული ცვლილებების მიხედვით იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ დაბალი ინსტანციის მოსამართლეების უვადო დანიშვნის გზით – მას შემდეგ, რაც პარლამენტი შესაბამისი საკონსტიტუციო ცვლილებებს მიიღებს – და ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის შემოღებით უნდა გაუმჯობესდეს სასამართლოს დამოუკიდებლობა. 2008 წლის სექტემბერში გამოცხადდა კონკურსი რაიონულ და სააპელაციო სასამართლოებში არსებული ვაკანსიების შესავსებად. ამ ვაკანსიების შევსების პროცესის დასრულება 2010 წელსაა მოსალოდნელი. ევროპის საბჭომ დახმარება გასწია მოსამართლეთა წინააღმდეგ დისციპლინარული სასჯელის შემუშავებაში. მიმდინარეობს სასამართლო რაიონების რეფორმირება, ხოლო სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების სპეციალური დეპარტამენტი 2008 წლის ოქტომბერში შეიქმნა. იუსტიციის უმაღლესი სკოლის შექმნამ ხელი შეუწყო მოსამართლეთა მომზადების გაუმჯობესებას, მათ შორის, სამართლებრივი ეთიკის სფეროში. ჯერ კიდევ განსახორციელებელია სისტემატური *ex officio* გამოძიება და დევნა და სავარაუდოდ პოლიტიკურად მოტივირებული დანაშაულებებისა. ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, რომლის მიღება 2007 წლის „სისხლის სამართლის რეფორმის განხორციელების სტრატეგიით“ იყო გათვალისწინებული, ჯერ კიდევ არ არის მიღებული.

2008 წლის დეკემბერში პრეზიდენტმა შექმნა „სისხლის სამართლის რეფორმის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭო“, რომლის მიზანი იყო 2005 წელს

ევროკავშირის მისიის EUJUST Themis-ის დახმარებით შემუშავებული და მიღებული სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის სტრატეგია.

რაც შეეხება **სამართლებრივ დახმარებაზე ხელმისაწვდომობას**, 2007 წელს შექმნილი უფასო სამართლებრივი დამახრების სამსახური განაგრძობს მოქალაქეებისთვის სამართლებრივი დახმარების გაწევას მთელი ქვეყნის მასშტაბით, (დაუცველი ჯგუფების წარმომადგენელთა ჩათვლით) სისხლის სამართლის საქმეებში, ასევე სამართლებრივ კონსულტირებას სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საკითხებში. თუმცა, ამ ტიპის მომსახურების საჯარო ტენდერების საფუძველზე კერძო სტრუქტურებისთვის გადაცემამ (outsourcing) შესაძლოა უთანასწორობა წარმოშვას ყველასთვის თანაბარი მომსახურების გაწევის თვალსაზრისით.

ჯერ კიდევ არ არის შემუშავებული **სახელმწიფო სამსახურის რეფორმისადმი** თანამიმდევრული მიდგომა და რეფორმის სტრატეგია. დაუყოვნებლივ უნდა იქნას განხილული სახელმწიფო ადმინისტრაციის შესაძლებლობების გაზრდის საკითხები. ფერხდება 2007 წლის მომზადებული სახელმწიფო სამსახურის შესახებ ახალი კანონის მიღება (იხ. 2007 წლის ანგარიში).

2008 წლის იანვარში საქართველომ მოახდინა რატიფიცირება ევროპის საბჭოს კონვენციისა **კორუფციის**, როგორც სისხლის სამართლის დანაშაულის შესახებ. ეს კონვენცია 2008 წლის მაისში შევიდა ძალაში. 2008 წლის ნოემბერში საქართველო შეუერთდა ევროპის საბჭოს კონვენციას კორუფციის შესახებ. 2008 წლის მარტში, მთავრობამ შესწორებები შეიტანა საქართველოს კანონში სახელმწიფო სექტორში კორუფციასა და ინტერესთა კონფლიქტის შესახებ, რომელიც მოიცავს სახელმწიფო მოხელეთა და პროკურორთა ქცევის წესებს. ამას დაემატა ევროპის საბჭოს მიერ ჩატარებული ტრენინგი. იუსტიციის სამინისტროს ეგიდით შეიქმნა „ანტიკორუფციული უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭო.“ გამარტივდა და უფრო გასაგები გახდა საბაჟო კოდექსი იმისათვის, რომ თავიდან ყოფილიყო აცილებული კორუფციული გარიგებების ალბათობა საქონლის შეფასებისას, განბაჟების შემდგომი აუდიტისა და დასაწყობებაზე თანხმობის მიღებისას. თუმცა, კიდევ უნდა გამარტივდეს სახელმწიფო შესყიდვების პროცედურები, რაც ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგიის სამოქმედო გეგმითაა გათვალისწინებული. ის, რომ ერთი პირიდან შესყიდვის პრაქტიკა სჭარბობს ღია ტენდერების შედეგად შესყიდვას ეწინააღმდეგება მთავრობის სურვილს, აღმოფხვრას კორუფცია სახელმწიფო სექტორში. ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგიის განხორციელების მონიტორინგის პროცესში საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან და ფართო საზოგადოებასთან ურთიერთობა და სისტემატური დიალოგი კვლავ პრიორიტეტულ საკითხად რჩება.

2008 წლის იანვარში **ადგილობრივი მმართველობის** სფეროში შეიქმნა ახალი, რეგიონული განვითარების სამინისტრო, რომლის მიზანია ადგილობრივი და რეგიონული მმართველობის რეფორმირების პროცესში მთავრობის საქმიანობის უკეთ კოორდინირება.

ადამიანის უფლებები და ძირითადი უფლებები

სახალხო დამცველის (ომბუდსმენი) აპარატი შემდგომ გაძლიერებას საჭიროებს. სახალხო დამცველის აპარატისთვის ბიუჯეტიდან გაცემული ასიგნებები არ არის საკმარისი და ეს სამსახური ძირითადად დონორთა მიერ გაწეულ დახმარებაზეა დამოკიდებული. სახალხო დამცველის მიერ მთავრობის და პრეზიდენტის კრიტიკის შედეგად სახალხო დამცველსა და აღმასრულებელ სტრუქტურებს შორის ურთიერთობა საგრძნობლად გაუარესდა.

უმნიშვნელო წინსვლა შეინიშნებოდა წამების და ცუდი მოპყრობის სისხლის სამართლის დანაშაულად მიჩნევის სამართლებრივი ჩარჩოს განხორციელების თვალსაზრისით. პრევენციის ეროვნული მექანიზმი, რომლის შექმნასაც გაეროს წამების წინააღმდეგ კონვენციის ფაკულტატური ოქმი (OPCAT) ითვალისწინებს და რომლის რატიფიცირება საქართველომ 2006 წელს მოახდინა, ჯერ კიდევ არ არის შექმნილი. 2008 წლის დეკემბერში გამოცხადდა, რომ პრევენციის ეროვნული მექანიზმის კოორდინატორად დაინიშნება სახალხო დამცველი და რომ მზადდებოდა შესაბამისი ცვლილებები კანონში სახალხო დამცველის შესახებ. წამების, არაჰუმანური და ღირსების შემლახველი მოპყრობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისმა საკოორდინაციო საბჭომ წარმოადგინა 2008–2009 წლების ახალი სამოქმედო გეგმა, რომელსაც დადებითად შეხვდა სამოქალაქო საზოგადოება და ის პირველ პოზიტიურ ნაბიჯად მიიჩნია ამ მიმართულებით. 2008 წლის ივნისში სამოქმედო გეგმა პრეზიდენტმა დაამტკიცა. სამოქმედო გეგმაში გათვალისწინებულია ევროპის საბჭოს წამების პრევენციის კომიტეტის რამოდენიმე რეკომენდაცია და მოცემულია გადამეტებული ძალის გამოყენებასთან დაკავშირებული საკითხები. საპყრობილეებში არსებული არაჰუმანური და ღირსების შემლახველი პირობები, რომლებიც ევროპის საბჭოს წამების პრევენციის კომიტეტის 2007 წლის ანგარიშშია აღწერილი, ჯერ კიდევ შემფოთების საგნად რჩება. ევროკომისია მხარს უჭერს წინსვლას ამ სფეროში, რადგან ის პრიორიტეტულადაა მიჩნეული „დემოკრატიის და ადამიანის უფლებების ევროპული ინსტრუმენტის“ ფარგლებში.

რაც შეეხება დაკავების პირობებს, 2008 წლის განმავლობაში რამდენიმე საპყრობილე დანგრეულ იქნა, რამოდენიმე კი გარემონტდა და განახლდა, რამაც დაკავებულთა საცხოვრებელი პირობებების გაუმჯობესება გამოიწვია. თუმცა, საქართველოს საპყრობილეები ჯერ კიდევ გადატვირულია და წინსვლა ამ პრობლემის მოგვარებაზე მიმართულ სისტემატურ საქმიანობაში უმნიშვნელოა. პირობითი და ალტერნატიული სასჯელის შეზღუდულად გამოყენება ეწინააღმდეგება ევროპის საბჭოს სტანდარტებს. 2008 წლის მიწურულს ცნობილი გახდა გეგმა, რომლის თანახმად გენერალური პროკურატურის და იუსტიციის სამინისტროს შერწყმის შედეგად უნდა შექმნილიყო ახალი პენიტენციური და პრობაციის სამინისტრო.

მედიის თავისუფლება და პლურალიზმი საქართველოში შემფოთების საგნად რჩება, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც „იმედის“ მაწყებლობა შეწყდა. ეს ერთადერთი

დამოუკიდებელი ტელევიზია იყო, რომელიც 2007 წელს მთელს საქართველოზე მაუწყებლობდა. საკაბელო ტელეკომპანია „მაესტრო“-ს, რომელიც ძირითადად თბილისში მაუწყებლობს, სამაუწყებლო ლიცენზია მას შემდეგ შეუჩერდა, რაც მან ხელისუფლებისგან ნებართვის გარეშე ეთერში ოპოზიციურად განცხადება ადამიანთა პოლიტიკური დისკუსიები გადასცა. მოგვიანებით, მას შემდეგ, რაც პრეზიდენტმა განაცხადა ახალი ინიციატივის შესახებ, რომელიც ოპოზიციური ჯგუფებისთვის მეტი საეთერო დროის დათმობას ითვალისწინებდა, კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ ეს გადაწყვეტილება შეცვალა. ამ ახალი ინიციატივის ფარგლებში პარლამენტმა მიიღო ახალი კანონი, რომლის თანახმად პირველ არხს დაევალა კვირაში ორჯერ ისეთი გადაცემების ეთერში გაშვება, რომლებშიც განსხვავებული აზრი იქნებოდა გამოხატული. ეს გადაცემები 2008 წლის ოქტომბერში დაიწყო.

ისევე როგორც შარშან, წინსვლა აღინიშნებოდა უმცირესობების საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების და მათი სამოქალაქო ინტეგრაციის კუთხით, განსაკუთრებით უმცირესობებით დასახლებულ პერიფერიულ რეგიონებში სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების და აქტიური საგანმანათლებლო პოლიტიკის გზით. შემუშავდა ტოლერანტობის და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფციის პროექტი. თუმცა, არსებობს მონაცემები რელიგიური შეუწყნარებლობის ცალკეული შემთხვევების შესახებ. გასული წლის შემდეგ არ ყოფილა წინსვლა უმცირესობების სამოქალაქო ინტეგრაციის პოლიტიკის შემუშავების თვალსაზრისით. ჯერ კიდევ არ არის ხელმოწერილი ქარტია რეგიონული და უმცირესობების ენების შესახებ. 2008 წლის ბოლოსთვის არ აღინიშნებოდა წინსვლა მესხი მოსახლეობის რეპატრაციის და ინტეგრირების თვალსაზრისით; მესხთა დაბრუნების შესახებ განაცხადების მიღების ვადა 6 თვით – 2009 წლის ივლისამდე გაგრძელდა.

ქალთა უფლებებთან დაკავშირებით 2008 წლის ბოლოსთვის გარკვეული წინსვლა აღინიშნებოდა, რადგან დაიწყო განხორციელება 2007–2008 წლების სამოქმედო გეგმისა ოჯახური ძალადობის შესახებ. 2008 წლის დეკემბრის ბოლოს შეიქმნა ოჯახური ძალადობის აღმოფხვრის უწყებეთაშორისი საბჭო და ოჯახური ძალადობის შესახებ კანონმდებლობის აღსრულების ეროვნული მექანიზმი. ამასთან, საქართველო მუშაობს გენდერული თანასწორობის შესახებ კანონპროექტზე.

2008 წლის ივლისში ძალაში შევიდა 2007 წელს მიღებული ცვლილებები არასრულწლოვანთა სამართლებრივი პასუხისმგებლობის მინიმალური ასაკის 14-დან 12 წლამდე ჩამოწევის შესახებ. საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებების და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტმა წარუმატებლად სცადა ამ ცვლილებების (რომლებიც გაეროს რეკომენდაციებს ეწინააღმდეგება) გადავადება. გაეროს ბავშვთა ფონდის მონაცემებით 2008 წლის განმავლობაში არასრულწლოვან პატიმართა რაოდენობა გაიზარდა. უმნიშვნელო წინსვლა აღინიშნებოდა არასრულწლოვან დამნაშავეთა წინასწარი დაკავების ადგილებში სარეაბილიტაციო და საგანმანათლებლო ღონისძიებების გატარების თვალსაზრისით.

თანამშრომლობა საგარეო და უსაფრთხოების სფეროში

მიზნები: საგარეო და უსაფრთხოების სფეროში პოლიტიკური დიალოგის და თანამშრომლობის განმტკიცება, ასევე, ძალისხმევის და თანამშრომლობის გაღრმავება საგარეო და უსაფრთხოების საკითხებზე. თანამშრომლობის გაგრძელება საერთო საფრთხეების აღმოსაფრხვრელად, მათ შორის მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელების და ტერორიზმთან ბრძოლის სფეროში.

2007 წლის ივნისიდან საქართველოს შესაძლებლობა მიეცა შეერთებოდა ევროკავშირის დეკლარაციებს საერთო საგარეო და უსაფრთხოების სფეროში ყოველ ცალკეულ შემთხვევაში. 2008 წელს 154 დეკლარაციიდან საქართველო 117 –ს შეუერთდა. 2008 წელს საქართველოს მთავრობასთან წარმატებული პოლიტიკური დიალოგი წარიმართა, წარმატებული იყო დიალოგი „ტროიკის“ ფორმატშიც, რომელიც ევროკავშირის თავმჯდომარე ქვეყნის მიერ 2008 წლის ივლისში იყო ორგანიზებული.

რეგიონული თანამშრომლობა

საქართველომ მონაწილეობას იღებს სამხრეთ კავკასიის ინტეგრირებული მართვის პროგრამაში, იხ პუნქტი 5.

საქართველო მონაწილეობს სამხრეთ კავკასიის ანტინარკოტიკულ პროგრამაში (SCAD V), რომლის ზოგადი მიზანია „აზერბაიჯანის, საქართველოს, სომხეთის და ევროკავშირის კანონმდებლობის, ნორმების და სტანდარტების თანდათანობით დაახლოება.“ იხ პუნქტი 5.

მას შემდეგ, რაც 2008 წლის დეკემბერში კავკასიის რეგიონული გარემოსდაცვითი ცენტრის ახალი დებულება სამხრეთ კავკასიის სამი ქვეყნის წარმომადგენლისგან შემდგარმა ცენტრის აღმასრულებელმა ორგანომ დაამტკიცა, ცენტრი სრულად ამუშავდა. სამხრეთ კავკასიის რეგიონული გარემოსდაცვითი ცენტრი ძალიან მნიშვნელოვანი ინსტიტუტია, რომელიც ხელს უწყობს რეგიონულ თანამშრომლობას და სტაბილურობას სამხრეთ კავკასიის რეგიონში.

თანამშრომლობა საქართველოს შიდა კონფლიქტების მოგვარების საქმეში

მიზანი: ცხინვალის რეგიონში (სამხრეთ ოსეთი, საქართველო) და აფხაზეთში, საქართველო, კონფლიქტების მშვიდობიანი მოგვარებაზე მიმართული მდგრადი ძალისხმევა.

2008 წლის პირველ ნახევარში ევროკავშირი დათანხმდა საქართველოს წინადადებას, გააქტიურებულიყო ნდობის აღდგენის ღონისძიებები საქართველოსა და ორ სეპარატისტულ რეგიონს – აფხაზეთს და სამხრეთ ოსეთს – შორის. ახალი ზომები მიმართული იყო ახალ სამშვიდობო ინიციატივებზე გაეროს გენერალური მდივნის საქართველოს მეგობართა ჯგუფის ფორმატში და მიზნად ისახავდა პირობების შექმნას სამშვიდობო მოლაპარაკებების განახლებისთვის სამხრეთ ოსეთის ერთობლივი

საკონტროლო კომისიის ფარგლებში; ასევე, ადგილობრივ მოსახლეობას შორის თანამშრომლობის და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებას. თუმცა, 2008 წლის აგვისტოს მოვლენების კონტექსტში ეს ღონისძიებები დროებით შეწყვეტილია.

2008 წლის განმავლობაში რუსეთმა გადადგა რამდენიმე ნაბიჯი, რომლის მიზანი იყო ურთიერთობის განმტკიცება აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის სეპარატისტულ მთავრობებთან, მათ შორის იყო დსთ-ს სანქციების ცალმხრივი გაუქმება. რუსეთის ახალი პოლიტიკა სეპარატისტული ერთეულების მიმართ ძირს უთხრიდა საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას. მთელი რიგი სამხედრო ინციდენტების და პროვოკაციების შემდეგ, რუსეთის ფედერაციასა და საქართველოს შორის სამხრეთ ოსეთზე კონტროლის განხორციელების თაობაზე 2008 წლის 7 აგვისტოს მოხდა შეიარაღებული დაპირისპირება, რომელიც 5 დღეში დასრულდა, მას შემდეგ, რაც ხელი მოეწერა ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმებას (ექვსპუნქტიანი შეთანხმება), რომელიც 12 აგვისტოს, ევროკავშირის თავმჯდომარე ქვეყნის – საფრანგეთის – ეგიდით დაიდო. 2008 წლის 8 სექტემბერს პრეზიდენტების ბაროზოსა და სარკოზის თბილისში და მოსკოვში ვიზიტების შემდეგ დაიდო უფრო დეტალური შეთანხმება წინა შეთანხმების განხორციელების თაობაზე. შეიარაღებულ დაპირისპირებას მოჰყვა რამდენიმე ასეული ადამიანის მსხვერპლი და დაახლოებით 192 000 პირის მიერ საცხოვრებელი ადგილის დატოვება. მათგან 30 000 ადამიანი ვერ შეძლეს თავის საცხოვრებელ ადგილას დაბრუნებას უახლოეს მომავალში. სერიოზული ზარალი მიაღწია გარემოს. ექვსპუნქტიანი შეთანხმება რუსეთმა მხოლოდ ნაწილობრივ დაიცვა, რადგან მისი უმნიშვნელოვანესი პუნქტები ჯერ კიდევ შეუსრულებელია.

საქართველოს მთავრობის სურვილის საწინააღმდეგოდ გაიზარდა რუსეთის სამხედრო კონტიგენტი აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში ; არ უშვებს საერთაშორისო მონიტორებს და ჰუმანიტარულ ორგანიზაციებს ამ რეგიონებში; რუსეთი წინ არ აღუდგა იძულებით გადაადგილებულ პირთა უფლებების დარღვევებს იმ ტერიტორიაზე, რომელსაც ის აკონტროლებს. სამხრეთ ოსეთის სეპარატისტული ხელისუფლება ჯერ კიდევ არ აძლევს ჰუმანიტარულ ორგანიზაციებს სამხრეთიდან თავისუფლად შემოსვლის საშუალებას. 2008 წლის 1 ოქტომბერს გამართულმა ევროკავშირის საბჭომ მკაცრად დაგმო რუსეთის ერთპიროვნული გადაწყვეტილება აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის თვითგამოცხადებული დამოუკიდებლობის აღიარების შესახებ.

ამ კრიზისის დაწყებისთანავე ევროკავშირმა სერიოზული პოლიტიკური, ფინანსური და პრაქტიკული პოსტკონფლიქტური დახმარება გაუწია საქართველოს. ევროკავშირმა საქართველოს სუვერენენიტეტის და ტერიტორიული მთლიანობის მტკიცე მხარდაჭერა გამოხატა და არაერთხელ დაგმო რუსეთის გადაწყვეტილება, შეენარჩუნებინა ამ ტერიტორიებზე არსებული სამხედრო და დიპლომატიური გავლენა. ევროკომისიის ჰუმანიტარული დახმარების დირექტორატის საშუალებით (ექო) ევროკავშირმა 8 მილიონი ევრო გამოყო იძულებით გადაადგილებულ პირთა გადაუდებელი ჰუმანიტარული დახმარებისთვის და, მსოფლიო ბანკთან ერთად, ორგანიზება გაუკეთა საერთაშორისო დონორთა კონფერენციას 2008 წლის ოქტომბერში.

კონფერენციაზე ევროკავშირმა საქართველოსთვის 2008–2010 წლების განმავლობაში 500 მლნ ევროს ოდენობის დახმარების გამოყოფის შესახებ განაცხადა. ასევე, მოახდინა მობილიზება საერთაშორისო დონორთა მიერ 3.44 მილიარდი ევროს ოდენობის დახმარების საერთო პაკეტისა. ევროკავშირის მიერ სტაბილურობის დამყარებაში შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილი იყო ევროკავშირის მონიტორინგის სამოქალაქო მისიის სწრაფად გამოგზავნა. მისიის მანდატი ითვალისწინებს ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმების ეფექტურ განხორციელებას საქართველოს მთელს ტერიტორიაზე, სეპარატისტული რეგიონების ჩათვლით. ევროკავშირის დავალებით შეიქმნა საერთაშორისო საგამოძიებო კომისია, რომელსაც სათავეში ჩაუდგა ელჩი ტალიავინი და რომლის მიზანი არის იმ გარემოებების გამოძიება, რომელიც წინ უძღოდა კონფლიქტს.

ევროკავშირის, გაეროს და ეუთოს ეგიდით 2008 წლის ოქტომბერში ჟენევაში ევროკავშირის ძალისხმევით მიღწეული ცეცხლის შეწყვეტის შემდგომი მოლაპარაკებები დაიწყო. მოლაპარაკებების მიზანი არის ყველა მხარესთან ერთად უსაფრთხოების საკითხების, იძულებით გადაადგილებულ პირთა ღირსეული და უსაფრთხო დაბრუნების ან მათი სხვა ადგილებში დასახლების განხილვა. ევროკავშირს, როგორც ამ მოლაპარაკებების თანათავმჯდომარეს, ხელმძღვანელობს ევროკავშირის ახალი სპეციალური წარმომადგენელი პიერ მორელი, რომელიც აგვისტოს კონფლიქტის შედეგებზე სამუშაოდ დაინიშნა. ევროკომისია და გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარი იმ ჯგუფის თანათავმჯდომარეები არიან, რომელიც ჰუმანიტარული და იძულებით გადაადგილებულ პირთა საკითხები განიხილავს. მიუხედავად იმ სირთულეებისა, რომლებიც სტატუსის საკითხთან და მხარეების ურთიერთსაწინააღმდეგო პოზიციებთანაა დაკავშირებული, ჟენევის დისკუსიების შედეგად რამდენიმე კონკრეტული ღონისძიება გატარდა, რამაც შესაძლოა წვლილი შეიტანოს დამაბუღლობის განმუხტვაში და ნდობის თვალსაზრისით უკეთესი გარემოს ჩამოყალიბებაში.

2008 წლის შემოდგომაზე საქართველოს მთავრობამ მიიღო ახალი კანონი „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“, რომელიც არეგულირებს სამხრეთ ოსეთში და აფხაზეთში შესვლას, ეკონომიკური აქტივობის წარმოებას და ამ რეგიონების დახმარებას. ევროკომისიამ და დონორთა საერთაშორისო თანამეგობრობამ სერიოზული შემფოთება გამოთქვეს მთავრობის მიერ 2008 წლის დეკემბერში შემუშავებული აღსრულების მექანიზმის ნეგატიურ შედეგებთან დაკავშირებით. ეს მექანიზმი უარყოფით გავლენას იქონიებდა ჰუმანიტარულ და სარეაბილიტაციო ღონისძიებებზე ორ სეპარატისტულ რეგიონში. ერთობლივ განცხადებაში, სადაც მოცემულია პოლიტიკურ პირობები, რომლებიც საფუძვლად უდევს ევროკომისიის შემდგომი დახმარების პაკეტს, საქართველოს მთავრობამ აიღო ვალდებულება ევროკომისიასთან ერთად განიხილოს ამ კანონის აღსრულების მექანიზმები.

3. ეკონომიკური და სოციალური რეფორმა

მაკროეკონომიკური ჩარჩო და მოქმედი საბაზრო ეკონომიკა

2008 წლის პირველ ნახევარში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების და კერძო სესხების სწრაფი ზრდის ხარჯზე გაიზარდა ეკონომიკური აქტივობა და მშპ-მ 9%-ს მიაღწია. 2008 წლის აგვისტოს ომის შედეგად მესამე კვარტალში საქართველოს ეკონომიკა 3.6%-ით შემცირდა. საქართველოს ეროვნული ბანკის სწრაფი მოქმედების წყალობით ფინანსურმა ბაზარმა ნდობის თვალსაზრისით გაუძლო ამ პირველ დარტყმას, თუმცა გლობალური ფინანსური კრიზისის შემდგომი შედეგები ჯერ კიდევ რთულ მდგომარეობას უქმნის ფინანსურ სტაბილურობას და რეალურ ეკონომიკურ განვითარებას. მშპ-ს რეალური ზრდა მთელი 2008 წლის განმავლობაში 2.1%-ს არ აღემატებოდა.

2008 წლის სექტემბერში საერთაშორისო სავალუტო ფონდიდან (სსფ) ეროვნული ბანკის საერთაშორისო რეზერვების შესავსებად საქართველომ 250 მლნ დოლარის (195 მლნ ევრო) ოდენობის 18-თვიანი „სტენდბაი“ ტრანში მიიღო. 2008 წლის ბოლოს რეზერვები ჯერ კიდევ შედარებით დაბალ ნიშნულზე იყო და იმპორტის მოცულობის მხოლოდ დაახლოებით ორ თვეს ფარავდა. სსფ-ს მიერ მხარდაჭერილი ეკონომიკური პროგრამა ითვალისწინებს ახლადდაარსებული საფინანსო ზედამხედველობის სააგენტოს ფუნქციონის გაუმჯობესებას. სააგენტომ ძალიან ფრთხილად უნდა განახორციელოს საბანკო სისტემაში არსებული აქტივების ხარისხის შეფასება და მოახდინოს ბანკებისთვის საგანგებო სიტუაციაში მოქმედების გეგმის შემუშავება. 2008 წლის მიწურულისთვის დაუფარავი სესხების წილი სწრაფად გაიზარდა (ნოემბრის მონაცემებით 14%). ეროვნულმა ბანკმა, თავის მხრივ, შეიმუშავა თავისი ლიკვიდურობის მენეჯმენტის სისტემა.

2008 წლის დეკემბერში სამომხმარებლო ფასების ყოველწლიური ზრდა 5.5%-ით შემცირდა, რაც ეხმიანებოდა ეკონომიკური აქტივობისა და სამომხმარებლო საქონელზე ფასების შემცირებას (11% 2007 წლის ბოლოსთვის). ინფლაციის დაბალი და სტაბილური განაკვეთის შესანარჩუნებლად, სავარაუდოდ უკვე 2009 წელს, ეროვნული ბანკი გეგმავს ინფლაციაზე მიმართული რეჟიმის შემოღებას. ეროვნული ბანკი განაგრძობს თავისუფალი გაცვლის კურსის სისტემის დამკვიდრებას, მას შემდეგ, რაც მოხდა ეროვნული ვალუტის დროებითი *დე ფაქტო* მიზმა დოლართან, შეიარაღებული კონფლიქტის შემდეგ სტაბილურობის შესანარჩუნებლად. 2008 წლის ნოემბერში საჭირო გახდა ერთჯერადი გაუფასურება ბაზარზე არსებული დამაბულობის განსამუხტავად, რაც დაკავშირებული იყო გლობალური ეკონომიკური სიტუაციის გაუარესებასთან.

კერძო ინვესტიციების შემოდინების გაუმჯობესების საკითხი ჯერ კიდევ გაურკვეველია, თუმცა ზოგიერთი პირდაპირი უცხოური ინვესტიცია ხორციელდება, განსაკუთრებით ტრანსპორტის და ენერგეტიკის სექტორში, სადაც საქართველოს ტრანზიტის და ექსპორტის პოტენციალი აქვს. 2008 წლის განმავლობაში გადმორიცხვების რაოდენობა გაიზარდა, მათ შორის რუსეთიდანაც, საიდანაც მთელი გადმორიცხვების 60% ხორციელდება. წლის მეორე ნახევარში ანგარიშებზე არსებული დეფიციტი შემცირდა, რადგან აღინიშნებოდა იმპორტის ზრდის ტემპის შენელება, რაც

მნიშვნელოვნად დაკავშირებულია პირდაპირი საგარეო ინვესტიციების ტემპთან. ანგარიშებზე არსებული დეფიციტი დღეისათვის დაახლოებით მშპ-ს 17%-ს შეადგენს.

სახელმწიფო ფინანსებში ხარჯების მუდმივი ზრდა იმით აიხსნებოდა, რომ თავიდან დიდი შემოსავლები იყო დაგეგმილი (დაახლოებით მშპ-ს 25% საგადასახადო შემოსავლებიდან). 2008 წლის პირველ ნახევარში პრივატიზაციაც წარმატებით მიმდინარეობდა. ზედმეტი ფინანსური სახსრები ძირითადად გამოიყენებოდა თავდაცვის ხარჯების დასაფარად, რაც 2008 წლის მთელი ხარჯების 24% შეადგენდა. მთავრობის დეფიციტი 2007 წლიდან მშპ-ს დაახლოებით 6%-მდე გაიზარდა. 2008 წლის აპრილში მთავრობა გავიდა კაპიტალის საერთაშორისო ბაზარზე და როდესაც საბაზრო პირობები ჯერ კიდევ ხელსაყრელი იყო, პირველად ქვეყნის ისტორიაში, სახელმწიფო სესხად აიღო 500 მლნ აშშ დოლარის (390 მლნ ევროს) ღირებულების ევროობლიგაციები.

2008 წლის დონორთა საერთაშორისო კონფერენციაზე გამოყოფილი გრანტები და შეღავათიანი სესხები გამოიყენება მთავრობის მიერ შედგენილი ეკონომიკური გაჯანსაღების გეგმის დასაფინანსებლად. საბანკო სექტორის რეფინანსირებისთვის საჭირო დახმარებაც საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებიდან გამოიყოფა. ეს თანხები მნიშვნელოვან დახმარებას უწევს ქვეყანას ანგარიშებზე დღეს არსებული დეფიციტის დაფარვაში, რადგან კერძო კაპიტალის შემოსვლა განსაკუთრებით შემცირებულია. ეს სულაც არ ნიშნავს, რომ საექსპორტო პოტენციალის გაზრდა აღარ არის საჭირო. პირიქით ექსპორტი საქართველოს მდგრად პოზიციას დააკავებინებს და ქვეყნის მტკიცე ეკონომიკური ზრდას შეუწყობს ხელს.

დასაქმება და სოციალური პოლიტიკა

2008 წლის იანვარში საქართველომ შეიმუშავა პროგრამა „საქართველო სიღარიბის გარეშე“ 2008–2012 წლებისათვის, რომლის მიზანი **სიღარიბის** შემცირება და უფრო ეფექტიანი სოციალურ დაცვის სისტემის შემუშავებაა საპენსიო სისტემის რეფორმირების და უფრო ხელმისაწვდომი ჯანდაცვის სისტემის შექმნის გზით. 2008 წელს საქართველოს მოსახლეობის 23.6% სიღარიბის ზღვარს ქვემოთ იმყოფებოდა. 2008 წლის ოქტომბერში განისაზღვრა, რომ სიღარიბის აღმოსაფრხველად 250 000 სამუშაო ადგილი უნდა შექმნილიყო.

რაც შეეხება **დასაქმებას**, მთავრობამ წამოიწყო „პროფესიული მომზადების და გადამზადების“ პროგრამა, რომელიც ხელს უწყობს პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარებას და ეხმარება უმუშევრებს შრომის ბაზრის ცვალებად პირობებთან მორგებაში. პროგრამაში დაახლოებით 113 800 სამუშაოს მაძიებელმა და 1400-ზე მეტმა საწარმომ მიიღო მონაწილეობა, რომელთა 65% ქალია. 2008 წლის თებერვალში დაიწყო პროგრამა, რომელიც რეგიონებში სამუშაო ადგილების შექმნას უწყობდა ხელს. ეს პროგრამა საპრეზიდენტო და საპარლამენტო კამპანიის პერიოდში დაიწყო, ამიტომ მისი ეფექტიანობა ბევრ კითხვას ბადებს, რადგან ფართომასშტაბიანი სამუშაო ადგილების შექმნის შაულებური სტრატეგია ამ პროგრამების განხორციელებას არ

ითვალისწინებდა. უმუშევართა რიცხვი მაღალია. ოფიციალური მონაცემებით უმუშევრობა 13.3%-ია, თუმცა სავარაუდოდ ეს ციფრი რეალურზე ნაკლებია, რადგან სოფლის მოსახლეობა თვითდასაქმებულად არის მიჩნეული.

რაც შეეხება შრომის კანონმდებლობას, სამუშაო უფლებებს და სოციალურ დიალოგს, საქართველომ განაცხადა სოციალურ პარტნიორებთან უფრო ინტენსიური დიალოგის წარმართვის შესახებ, მაგრამ ამ მიზნით კონკრეტული ღონისძიებები არ ჩატარებულა. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში შრომის კოდექსში ცვლილებები არ შესულა, თუმცა, 2008 წლის ოქტომბერში მიღებული ერთობლივ განცხადებაზე შეთანხმება საქართველოს მთავრობას, პროფკავშირებს და შრომის საერთაშორისო ორგანიზაციას შორის, შესაძლებლობა მისცა საქართველოს 2011 წლამდე გაეგრძელებინა ბენეფიციარის სტატუსი ევროკავშირის სავაჭრო პრეფერენციების რეჟიმისა (GSP+), რომელიც იმ პარტნიორ ქვეყნებს ენიჭებათ, რომლებიც მდგრად განვითარებას და კარგ მმართველობას ახორციელებენ. ერთობლივი განცხადება ძირითადად ემსახურება შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის ეგიდით სამმხრივი კონსულტაციების გამართვას და სამუშაოს განხორციელებას. 2008 წლის დეკემბერში შემუშავდა სამუშაო გეგმა, რომლის მიზანი იყო ერთობლივი განცხადების შესრულება და ეს სამუშაო პრიორიტეტად იყო მიჩნეული. 2008 წლის ივლისში საქართველომ ევროპის საბჭოში წარადგინა ევროპის სოციალური ქარტიის განხორციელების განახლებული ანგარიში, სადაც მოცემული იყო დასაქმების, ტრენინგის და თანაბარი შესაძლებლობების საკითხები.

2008 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ერთი მესამედი **სოციალურ პროგრამებზეა** გამოყოფილი. ეს პროგრამები დაუსაქმებელი მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს ფარავს. საანგარიშო პერიოდში ხანდაზმული ასაკის პენსიების მინიმალური ოდენობა გაორმაგდა. მთავრობამ რამდენჯერმე გასცა ერთჯერადი ფულადი და ნატურით დახმარება, მათ შორის იყო საწვავის თანხები ზამთრის პერიოდისთვის გარკვეული კატეგორიის ადამიანებისთვის, სოფელში მცხოვრები თითო ოჯახისთვის 50 კგ ფქვილი და „კარგი დასაწყისის პროგრამა“, რომელიც ითვალისწინებდა 1000 ლარის (დაახლოებით 380 ევროს) გაცემას იმ ოჯახებში დაბადებულ ახალშობილთათვის, რომლებსაც სოციალური დახმარება ეკუთვნით. ამ დახმარების მიზანია სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ოჯახების იდენტიფიცირება, მათი სოციალურ-ეკონომიკური სიტუაციის შეფასება და შესაბამისი მონაცემთა ბანკის შექმნა. უფასო სახელმწიფო ჯანმრთელობის დაზღვევის პოლისის მიმღებთა რაოდენობა 650 000–დან 750 000–მდე გაიზარდა. თუმცა, ამ სქემით შემოთავაზებული მომსახურება საკმაოდ შეზღუდულია (მაგ. წამლების ანაზღაურება არ არის გათვალისწინებული).

2008 წლის მარტში, ჯანდაცვის, შრომის და სოციალური საკითხების სამინისტრომ მიიღო „სოციალური რეაბილიტაციის სახელმწიფო პროგრამა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის, მოხუცებისა და მზრუნველობამოკლებული ბავშვებისთვის.“ პროგრამით გათვალისწინებულია სხვადასხვა ტიპის სოციალური მომსახურება, მათ შორის, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებისთვის.

2008 წლის დეკემბერში მთავრობამ მიიღო ბავშვთა დაცვაზე მიმართული 2008–2011 წლის სამოქმედო გეგმა– სტრატეგიული დოკუმენტი – რომელშიც ასახულია პოლიტიკის რეფორმირება „დენისტიტუციონალიზაციიდან“ (ანუ მზრუნველობამოკლებული ბავშვების რიცხვის კლება თავშესაფრებში და ბავშვებზე ზრუნვის სხვა დაწესებულებებში) ბავშვებზე ზრუნვის მდგრად და თანამედროვე, თემზე ორიენტირებულ სისტემაზე გადასვლა.

ეკონომიკური განვითარების და სიღარიბის შემცირების სტრატეგიის ფარგლებში გათვალისწინებული მდგრადი განვითარების სტრატეგია ჯერ კიდევ არ არის შემუშავებული. ეს სამუშაო 2008 წელს ქვეყანაში არსებული რთული პოლიტიკური სიტუაციის გამო შეფერხდა. „ევროპის სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმით“ გათვალისწინებული სოფლის მეურნეობის სფეროში დასახული ამოცანების შესრულებაში წინსვლა შეინიშნება. შემუშავდა 2009–2012 წლების სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგია და გამყარდა განხორციელების ფართომასშტაბიანი პროგრამებით. ევროკავშირის მხარდაჭერით ჩატარდა რამოდენიმე სემინარი, რომელიც მიზნად ისახავდა გამოცდილების და წარმატებული პრაქტიკის გაზიარებას და ევროკავშირის და საერთაშორისო სტანდარტების გამოყენებას სოფლის მეურნეობაში. „იაფი კრედიტის“ სახელმწიფო პროგრამა 2008 წელს დაიწყო და მისი მიზანი იყო რეგიონებში სამუშაო ადგილების შექნა, განსაკუთრებით სოფლის მეურნეობაში, სასოფლო–სამეურნეო პროდუქციის გადამამუშავებაში, სხვადასხვა ხელობაში და ექსპორტზე ორიენტირებულ საწარმოებში. მთავრობამ წამოიწყო სახელმწიფო პროგრამა, რომელიც ხელს უწყობდა მეწარმეებს შეღავათიან ფასებში შეესყიდათ სახელმწიფოს მფლობელობაში მყოფი სასოფლო–სამეურნეო მიწები. 2008 წლის ივლისში სოფლის მეურნეობის სამინისტრომ გამოსცა ბრძანებულება, რომელშიც განისაზღვრა ორგანული სასოფლო–სამეურნეო წარმოებისთვის ნებადართული მასალების ნუსხა. მიმდინარეობს თანამშრომლობა არასამთავრობო ორგანიზაციასთან, რომელიც მოახდენს სასოფლო–სამეურნეო წარმოების სერტიფიცირებას.

4. ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები, საბაზრო და მარეგულირებელი რეფორმები

ევროკავშირი საქართველოს ძირითადი სავაჭრო პარტნიორია (საქართველოს მთელი საგარეო ვაჭრობის 31.14% ევროკავშირს უკავია). 2007 წლის განმავლობაში ვაჭრობა თანდათანობით ვითარდებოდა, ხოლო 2008 წელს – საგრძნობლად გაიზარდა, განსაკუთრებით საქართველოდან ექსპორტი (+62.7%). თუმცა, ორმხრივი ვაჭრობა და ექსპორტი ჯერ კიდევ დაბალ დონეზეა განვითარებული. ისევე, როგორც წინა წლებში, ხდება შედარებით იაფი მხოლოდ რამოდენიმე სახეობის საქონლის ექსპორტირება, ამდენად, ვაჭრობა დივერსიფიცირებას საჭიროებს. ევროკავშირის შეღავათების ზოგადი სისტემის (GSP) 2006–2008 წლების გადაწყვეტილების თანახმად, საქართველო სარგებლობს მდგრადი განვითარების და კარგი მმართველობის სპეციალური რეჟიმით, ე.წ. GSP+. საქართველომ მოიპოვა უფლება, ისარგებლოს ახალი გადაწყვეტილებით

მინიჭებული შეღავათებით, რომელიც 2009–2011 წლებისთვის არის გათვალისწინებული.

ევროკავშირსა და საქართველოს შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების ხელმოწერის შესაძლებლობის გასარკვევად, 2007 წელს ევროკომისიამ კონკურსი გამოაცხადა დამოუკიდებელი კვლევის ჩატარებაზე, რომელიც 2008 წლის მაისში დასრულდა. კვლევის შედეგად დადგინდა, რომ საქართველოსთვის სასარგებლო იქნებოდა ასეთი შეთანხმება, თუმცა ქვეყანა ჯერ კიდევ არ იყო მზად ასეთი გრძელვადიანი ლიბერალიზაციისთვის. კვლევის შემდეგ დაიწყო მოსამზადებელი პროცესი, რომლის მიზანია ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების დადებისთვის აუცილებელი პირობების შექმნა. ეს პროცესი დააჩქარა 2008 წლის 1 სექტემბრის ევროკავშირის საბჭოს საგანგებო შეხვედრამ, რომელზეც გადაწყდა, რომ „ევროკავშირმა უნდა გაააქტიუროს საქართველოსთან ურთიერთობა, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების შესაძლო ხელმოწერის ჩათვლით, როგორც კი ასეთი შეთანხმების დადებისთვის ყველა პირობა იქნება შესრულებული.“

ევროკომისიის ფაქტების შემსწავლელი მისია საქართველოში 2008 წლის ოქტომბერში იმყოფებოდა ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების ხელმოწერისათვის საქართველოს მზადყოფნის შესაფასებლად; მისიამ ასევე შეიმუშავა რეკომენდაციები შემდგომი რეფორმებისთვის, განსაკუთრებით იმ პირველხარისხოვანი ნაბიჯების შესახებ, რომლებიც აუცილებლად უნდა გადაიდგას ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმებაზე მოლაპარაკებებისთვის საჭირო მზადყოფნის მისაღწევად. ზოგადად, სააანგარიშო პერიოდში საქართველომ გარკვეულ წარმატებებს მიაღწია ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შესაძლო შეთანხმების მომზადების პროცესში, თუმცა არა–ერთ საკითხში დამატებითი წინსვლის მიღწევას საჭირო.

წარმატება იყო მიღწეული საბაჟო სფეროში „საქართველოს საბაჟოს ბიზნეს სტრატეგიის“ შესაბამისად, რომლის მიზანია საბაჟო კანონმდებლობის და პრაქტიკის ევროკავშირის და საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოება. საქართველოს საბაჟო განაგრძობდა რისკის მენეჯმენტის სისტემის და რისკების ანალიზის განახლებას იმ ფორმატებზე დაყრდნობით, რომლებიც ASYCUDA მსოფლიო საბაჟო დეკლარაციების დამუშავების საინფორმაციო ტექნოლოგიურ სისტემებშია ინტეგრირებული. საქონლის განბაჟების პროცედურის გადატანამ ქვეყნის შიგნით არსებულ საბაჟო ოფისებში და ASYCUDA –ს სისტემის გავრცელებამ მთელს სისტემაში, საგრძნობლად შეამცირა განბაჟებისთვის საჭირო დრო. მიუხედავად იმისა, რომ განბაჟების შემდგომი კონტროლის სისტემა პრაქტიკაში არ არსებობს, უცხოური დახმარების წყალობით შეიქმნა საგანგებო ჯგუფი და მიმდინარეობს ტრენინგი. რაც შეეხება კანონმდებლობას, წელს შეტანილი იქნა რამდენიმე ძირითადი ცვლილება საბაჟო კოდექსში და ეს ცვლილებები შეეხება შეფასებას, განბაჟების შემდგომ აუდიტს, გამარტივებულ საბაჟო

პროცედურებს ავროტიზებული ოპერატორებისთვის, ტარიფის და წარმომავლობის შესახებ ინფორმაციის ერთმანეთთან დაკავშირებას და საწყობებს. თუმცა, საბაჟო კოდექსში შეტანილი ცვლილებების შედეგად, რომლებიც საქონლის საბაჟო შეფასებას შეეხებოდა, საბაჟო კანონმდებლობა არ შეესაბამება მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის და ევროკავშირის პრინციპებს. უფრო მეტიც, მეორადი კანონმდებლობის შემუშავება, რომელიც აუცილებელია საბაჟო კოდექსის სწორად გამოყენებისთვის, ჯერ კიდევ არ არის დასრულებული. საქართველო ემზადება ჰარმონიზებული საქონლის აღწერის და კოდირების სისტემების შესახებ (HS) კონვენციის რატიფიცირებისთვის და უკვე იყენებს 2002 წლის HS სისტემას. გასულ წელს სახელმწიფო შემოსავლების სამსახურის შექმნის შემდეგ, ამ ახალი სტრუქტურის შექმნა დასრულდა არსებული საგადახადო და საბაჟო ტერიტორიული ერთეულების შერწყმით რვა რეგიონულ ცენტრში.

საქონლის თავისუფალი ბრუნვის და ტექნიკური წესების სფეროში საქართველომ გარკვეულ წარმატებას მიაღწია, განსაკუთრებით ტექნიკური რეგულირების სისტემის განხორციელების თვალსაზრისით. დღეისათვის მოქმედებს ორი დამოუკიდებელი სააგენტო, კერძოდ, სტანდარტების, ტექნიკური წესების, მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო და აკრედიტაციის ეროვნული ცენტრი. მიმდინარეობს საკანონმდებლო რეფორმა, რომლის მიზანია ტექნიკური ზედამხედველობის სახელმწიფო ინსპექციის ფუნქციების გადახალისება, რომ ერთმანეთისგან გამოცალკევდეს პროდუქციის რეგისტრაცია, მასზე ზედამხედველობა და საწარმოო შემთხვევების გამოძიება ინსპექტირებისგან, რომელსაც აკრედიტებული სამსახურები განახორციელებენ. სტანდარტების, ტექნიკური წესების, მეტროლოგიის და აკრედიტაციის ეროვნული სააგენტო ISO-ს წევრი და ევროპის სტანდარტიზაციის კომიტეტის (CEN-ის) ასოცირებული წევრია.

რაც შეეხება იმპორტს, საქართველო აღიარებს 40 სხვადასხვა ქვეყნის სტანდარტს, მათ შორისაა ევროპაში თანამშრომლობის და განვითარების ორგანიზაციის წევრი ქვეყნები. ეს ნიშნავს, რომ ამ ქვეყნების პროდუქტებს შეუძლიათ საქართველოს ბაზარზე შემოსვლა ყოველგვარი შესაბამისობის დადგენის, დასტურის ან საკანონმდებლო პროცედურების გარეშე. საჭირო იქნება ევროკავშირის კანონმდებლობასთან უფრო მეტი დაახლოება გარკვეულ სექტორებში, თუნდაც სამშენებლო სტანდარტების სფეროში, იმისთვის, რომ გრძელვადიან პერსპექტივაში დაიწყოს მოლაპარაკება „საწარმოო პროდუქტების შესაბამისობის დადგენის და მათზე დასტურის გაცემის შესახებ შეთანხმების“ თაობაზე.

რაც შეეხება **სანიტარულ და ფიტოსანიტარულ** საკითხებს, საქართველომ დაადასტურა, რომ 2009 წლამდე გადაიღო ახლადდაწყებული რეფორმის ძირითადი ელემენტები, კონტროლის ჩათვლით. აღინიშნება სერიოზული სირთულეები წესებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის თვალსაზრისით, ადმინისტრაციული შესაძლებლობები კი საკმაოდ შეზღუდულია. სურსათის უვნებლობის პრაქტიკის ევროკავშირთან დაახლოების მიზნით, საქართველო განაგრძობდა საჭირო კანონმდებლობაზე მუშაობას. ახალ ვეტერინარულ კანონმდებლობაზე მუშაობა აღარ მიმდინარეობს. საქართველომ გადადგა ნაბიჯები ევროკავშირის სურსათის და საკვების სფეროში სწრაფი შეტყობინების

სისტემაში ინტეგრირების გზაზე და, ამ პროცესის დასაჩქარებლად, 2008 წლის აპრილში შექმნა სამუშაო ჯგუფი. საქართველომ დაასრულა მუშაობა სამოქმედო გეგმაზე, რომელიც სურსათის და საკვების სფეროში რისკების ანალიზს ითვალისწინებს. სამუშაო გეგმით დასახული ამოცანების განხორციელების და ევროკავშირში ექსპორტის გაზრდის მიზნით, საქართველომ ამ სფეროში საგრძნობ წინსვლას უნდა მიაღწიოს. საქართველომ მონაწილეობა მიიღო ევროკავშირის პროგრამის „უკეთესი ტრეინინგი უფრო უსაფრთხო სურსათისთვის“ ფარგლებში ორგანიზებულ სემინარში.

მიუხედავად იმისა, რომ 2008 წლის შეიარაღებული კონფლიქტის შემდეგ ინვესტორებმა დაკარგეს ნდობა, **ბიზნეს გარემო**, ზოგადად, უცხოური ინვესტიციებისთვის საკმაოდ ხელსაყრელად ითვლება, თუმცა ჯერ კიდევ რჩება საკუთრების უფლების უზრუნველყოფასთან დაკავშირებული პრობლემები.

კომპანიების დაფუძნების და კანონმდებლობის თვალსაზრისით, საქართველოს ინვესტიციების ეროვნული სააგენტო პირდაპირი უცხოელი ინვესტიციების და ადგილობრივი ინვესტორებისთვის „ერთი ფანჯრის“ პრინციპით მუშაობს. რეგისტრაციის პროცედურების შემდგომი გამარტივების მიზნით, 2008 წლის მარტში მეწარმეთა შესახებ კანონში ცვლილებები შევიდა. დღეისთვის, რეგისტრაციას დაახლოებით სამი დღე სჭირდება, ბიზნესის დასაწყებად საჭირო პროცედურებსაც სამი დღე სჭირდება. დღეს კომპანიების სახელმწიფო და საგადასახადო რეგისტრაციას საგადასახადო სამსახური ერთიანი პროცედურის საშუალებით ახორციელებს. განახლებული კანონმდებლობის წყალობით კომპანიების შესახებ ინფორმაცია უფრო გამჭვირვალე და ხელმისაწვდომი გახდა. თუმცა, კანონმდებლობა ჯერ კიდევ არ შეესაბამება ევროკავშირის მოთხოვნებს გამჭვირვალებასთან, მონაცემთა საჯაროობასთან, სარეგისტრაციო ჟურნალების საჯაროობასთან დაკავშირებით. უფრო მეტიც, განახლებული კანონმდებლობა სრულად არ შეესაბამება ევროკავშირის სტანდარტებს შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიების შექმნის, მათში კაპიტალის შენარჩუნების და ცვლილების თვალსაზრისით. ჯერ კიდევ არ არის მიღებული კორპორატიული მართვის კოდექსი.

საქართველომ გარკვეულ წინსვლას მიაღწია **ფინანსური მომსახურების** სფეროში. დღეისათვის, მარეგულირებელ სფეროში მოღვაწეობენ ეროვნული ბანკი და ფინანსური ზედამხედველობის სააგენტო, რომელიც 2008 წლის მაისში შეიქმნა და რომელშიც გაერთიანდა ყველა საბანკო, სადაზღვევო და ფასიანი ქაღალდების ზედამხედველობის სტრუქტურა. სააგენტოს შექმნას ხელი შეუწყო 2008 წელს მიღებულმა აქტმა „ფინანსური მომსახურების სექტორში გლობალური კონკურენციის შესახებ.“ ფინანსური ზედამხედველობის სააგენტო არის დამოუკიდებელი ორგანო, რომლის ფუნქციას რეგულარული მონიტორინგის განხორციელება და ანგარიშების მომზადება, აგრეთვე, ადგილზე ინსპექტირება. მიმდინარეობს ახალ საფინანსო კოდექსზე მუშაობა. ამ კოდექსის საშუალებით მოხდება ფინანსური ბაზრების მეტი ლიბერალიზება და უფრო ერთიანი გახდება მიდგომა ამ ბაზრების მიმართ, რაც უზრუნველყოფს თანაბარ პირობებს ადგილობრივი და უცხოელი ინვესტორებისთვის. ბანკები ჯერ კიდევ

მისდევენ ეფექტური საბანკო ზედამხედველობის ძირითად პრინციპს Basel I. უფრო მეტი ძალისხმევა სჭირდება მომხმარებელთა დაცვას ფინანსურ სექტორში.

რაც შეეხება **კაპიტალის მოძრაობას**, უცხოურ ვალუტაზე შეზღუდვები არ არის და ლარი ერთადერთი ეროვნული ვალუტაა, რომელიც მიღებულია საერთაშორისო ტრანზაქციებისთვის.

სხვა მნიშვნელოვანი სფეროები

საქართველო აგრძელებდა საგადასახადო სფეროს კანონმდებლობის და პრაქტიკის გაუმჯობესებას ფინანსთა სამინისტროს 2007–2011 წლის ერთიანი სტრატეგიის და შემოსავლების სამსახურის 2008 წლის სტრატეგიის განხორციელების გზით, აგრეთვე, პოლიტიკურ მიზნად ისახავდა კორუფციის აღმოფხვრას და საგადასახადო ადმინისტრაციის რეფორმირებას. საქართველოს **საგადასახადო** კოდექსში ცვლილებები შევიდა 2008 წელს, რომელთა მიხედვით მოხდა დივიდენტებზე არსებული საშემოსავლო გადასახადის განაკვეთის შემცირებას, დღ-ს დაბრუნების პროცედურის გამარტივებას და დაჩქარებას, ასევე გადასახადების აკრეფის და გასაჩივრების უფლების სისტემის გაუმჯობესებას. ევროკავშირსა და საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობას შორის ძირითადი განსხვავება არის გადასახადებისგან გათავისუფლება, ენერგოდაბეგრვა, აქციზური გადასახადების მოხმარება და აქციზს დაქვემდებარებული პროდუქციის მოძრაობაზე მონიტორინგის სისტემა. ფინეთთან ორმხრივი დაბეგრვის თავიდან აცილების შესახებ შეთანხმება 2008 წლის ივნისში შევიდა ძალაში. ლუქსემბურგთან ამგვარი შეთანხმება საქართველოს პარლამენტის მიერ თებერვალში იყო რატიფიცირებული, ხოლო ირლანდიასთან იგივე შეთანხმებას დეკემბერში მოეწერა ხელი. მოლაპარაკებები მიმდინარეობს სლოვენიასა და უნგრეთთან.

კონკურენციის პოლიტიკასთან მიმართებაში უმნიშვნელო წინსვლა შეინიშნება. 2005 წლის კონკურენციის შესახებ კანონი უფრო მეტად სახელმწიფო დახმარებას შეეხება, ვიდრე მონოპოლიებს. თუმცა, მოქმედებს ანტიმონოპოლიური კანონმდებლობა კონკრეტულ სფეროებში, რომელთა რეგულირება ხდება დამოუკიდებელი სახელმწიფო მარეგულირებელი კომისიების და სააგენტოების მიერ. ეს სფეროებია: ენერგეტიკა, წყლით მომარაგება, კომუნიკაციები, ტრანსპორტი და ფინანსური სექტორი. თავისუფალი ვაჭრობის და კონკურენციის სააგენტო ჯერ კიდევ ეკონომიკის სამინისტროს სტრუქტურული ერთეულია და მას მხოლოდ საკონსულტაციო ფუნქცია აკისრია. არ არსებობს სამართლებრივი მექანიზმი, რომელიც სააგენტოს გადაწყვეტილებების შესრულებას უზრუნველყოფდა. მიმდინარეობს დიალოგი უმაღლეს დონეზე ევროკომისიის კონკურენციის პოლიტიკის სფეროში მომუშავე სამსახურებთან.

ინტელექტუალური საკუთრების სფეროში საქართველო აგრძელებდა თავისი საკანონმდებლო ჩარჩოს საერთაშორისო სტანდარტებთან მიახლოებას. ახალი საპატენტო კანონი, ისევე როგორც ახალი კანონი საწარმოო დიზაინის შესახებ, რომელიც

მსოფლიოს ინტელექტუალური საკუთრების ორგანიზაციასთან თანამშრომლობით მომზადდა, ჯერ კიდევ არ არის მიღებული. საქართველომ წარმატებული ნაბიჯები გადადგა ევროკავშირთან გეოგრაფიული ინდიკატორების შესახებ შეთანხმების დადების გზაზე. დაბოლოს, 2008 წლიდან საქართველო მცენარეთა ახალი სახეობების დაცვის კონვენციის ხელმომწერია. საქართველოს კანონმდებლობა არ შეესაბამება ევროკავშირის მოთხოვნებს ფარმაცევტული და აგროქიმიური ნაწარმის მონაცემთა დაცვის არასაიმედოობის და დამატებითი დაცვის სერტიფიკატის შესახებ. საჭიროა შემდგომი ძალისხმევა სასამართლოში ინტელექტუალური საკუთრების ეფექტიანად დაცვისთვის. პოლიციაში არ არის ინტელექტუალური საკუთრების დაცვის სპეციალური განყოფილება. საქართველოში ჯერ არ ჩატარებულა ყალბი პროდუქციის და პირატობის შესახებ კვლევა, რაც სამოქმედო გეგმითაა გათვალისწინებული. ინტელექტუალური საკუთრების დარღვევებთან მიმართებაში საჭიროა, რომ *ex officio* უფლებებით აღიჭურვონ პოლიცია და საბაჟო .

რაც შეეხება **სახელმწიფო შესყიდვებს**, 2008 წელს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონში უმნიშვნელო ცვლილებები იქნა შეტანილი. უცხოური და ადგილობრივი კომპანიები ქართულ შესყიდვების ბაზარზე შესვლის თანაბარი უფლებებით სარგებლობენ. სახელმძღვანელო მითითებები მხოლოდ ქართულ ენაზე არსებობს. მსოფლიო ბანკის დახმარებით საქართველო მუშაობს ელექტრონული შესყიდვების სისტემაზე; კანონი ელექტრონული ხელმოწერის შესახებ 2008 წლის მარტში შევიდა ძალაში. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო აღარ არის ეკონომიკის სამინისტროს დაქვემდებარებაში, მაგრამ დღეს ის პრემიერ მინისტრს ექვემდებარება.

კანონპროექტი **სტატისტიკის** შესახებ, რომლის მიზანია სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის დამოუკიდებლობის გაზრდა, (დეპარტამენტი დღეისათვის ეკონომიკის სამინისტროს დაქვემდებარებაშია) ჯერ კიდევ არ არის მიღებული. სტატისტიკის დეპარტამენტის სუსტი ადმინისტრაციული შესაძლებლობები, თანამშრომელთა ნაკლებობა და დენადობა შემფოთების საგნად რჩება. 2008 წლის დეკემბერში შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელმაც უნდა შექმნას სტატისტიკის სისტემის რეფორმის კონცეფცია. დაიწყო ევროკავშირის თანხებით შეძენილი თანამედროვე საინფორმაციო-ტექნოლოგიური აღჭურვილობის დამონტაჟება. საჭიროა შემდგომი ძალისხმევა **აუდიტის და ანგარიშგების** სფეროში იმისთვის, რომ მოხდეს ევროკავშირის სტანდარტებთან დაახლოება სავალდებულო აუდიტის და კონტროლის მექანიზმის სფეროში, როგორც ეს სამოქმედო გეგმითაა გათვალისწინებული.

სახელმწიფო ფინანსების მართვასთან დაკავშირებით ფინანსთა სამინისტრომ ჩაატარა ტრენინგები და საინფორმაციო სემინარები რეგიონებსა და მუნიციპალიტეტებში GFSM -2001 მეთოდოლოგიაზე გადასვლის მომზადების პროცესში. ინფორმაციის უკეთ შეგროვების მიზნით ექვს რეგიონში იყო ელექტრონული ხაზინის საცდელი პროექტი. 2008 წლის დეკემბერში მიღებული იყო ახალი კანონი გარე აუდიტის შესახებ.

პოზიტიური ძვრები აღინიშნა სახელმწიფო შიდა ფინანსური კონსტროლისთვის საკანონმდებლო ჩარჩოს თუ სტრატეგიის შემუშავებასთან დაკავშირებით. მასზე სამუშაოდ 2008 წლის ბოლო კვარტალში შეიქმნა სამუშაო ჯგუფი. სამინისტროებში არსებული შიდა ინსპექციების ეფექტურობას აფერხებს ერთიანი სტანდარტების და პროცედურების არარსებობა და თანამშრომელთა ხშირი დენადობა.

საწარმოების პოლიტიკასთან დაკავშირებით, საქართველოს მთავრობამ წამოიწყო „იაფი კრედიტის“ სისტემა, რომლის შესახებ მე-3 თავშია მოთხრობილი. 2008 წლის ივნისში მოეწყო ბიზნეს ფორუმი „მოახდინე ინვესტირება საქართველოში.“ ფორუმის მსვლელობისას შედგა აზრთა გაცვლა–გამოცვლა ინდივიდუალური საწარმოების და საწარმოო პოლიტიკის და კონკურენციის სტიმულირების შესახებ.

5. თანამშრომლობა სამართლის, თავისუფლების და უსაფრთხოების სფეროებში

2008 წლის თებერვალში საქართველოს პრეზიდენტმა დაამტკიცა საზღვრის მართვის ეროვნული სტრატეგია 2008–2012 წლებისთვის; სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმის დამტკიცება 2008 წლის ივნისში იყო გათვალისწინებული. 2008 წლის ბოლოს საპატრულო პოლიციას დაევალა სასაზღვრო გამშვები პუნქტების კონტროლი და ვიზების გაცემა საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ გადაცემული პასუხისმგებლობის ფარგლებში. საქართველო მონაწილეობას იღებს სამხრეთ კავკასიის საზღვრის ინტეგრირებული მართვის რეგიონულ პროგრამაში, რომელიც აზერბაიჯანს, საქართველოს და სომხეთს შორის 2007 წლის ოქტომბერში შეთანხმდა. პროგრამის მიზანია უწყებათაშორისი თანამშრომლობა და საბაჟო და სასაზღვრო სამსახურების შესაძლებლობების გაძლიერება რეგიონულ სტანდარტებთან ევროკავშირის ნორმებთან. პროგრამის განხორციელება დაიწყო 2009 წლიდან და მას ახორციელებს კონსორციუმი, რომელიც 2008 წლის ბოლოს შეირჩა, გაეროს განვითარების პროგრამის ხელმძღვანელობით. სამწუხაროდ წინსვლა არ აღინიშნება საზღვრის დელიმიტაციის და დემარკაციის საქმეში მეზობელ ქვეყნებთან, გარდა თურქეთისა და ეს აწუხებს ევროკავშირის მხარეს. საქართველოს არ აქვს საზღვრის შესახებ ორმხრივი შეთანხმება სომხეთთან. მეტი მცდელობაა საჭირო ამ სფეროში ინსტიტუციური შესაძლებლობის გაძლიერების მხრივ. რეგიონული თანამშრომლობა სამხრეთ კავკასიის საზღვრის ინტეგრირებული მართვისთვის მეტ ყურადღებას და რესურსების ინვესტირებას საჭიროებს.

სამოქალაქო რეესტრის შექმნის ნაადრევად დასრულება და რეესტრის რეფორმირება წინსვლის მნიშვნელოვანი ინდიკატორია. სამოქალაქო რეესტრის სააგენტო დღეისათვის ახორციელებს ბიომეტრიული პასპორტების შემოღებისთვის აუცილებელ მოსამზადებელ სამუშაოებს. მონაცემთა დაცვასთან დაკავშირებულ კანონმდებლობის შემუშავების საკითხში წინსვლა არ აღინიშნება.

ივნისში, ევროკომისიამ სთხოვა ევროპის საბჭოს, დაეწყო დიალოგი საქართველოსთან ინიციატივის „პარტნიორობა მობილურობასთან“ დაკავშირებით. 2008 წლის ნოემბერში ევროკავშირმა ევროპის საბჭოდან მიიღო აუცილებელი დირექტივები საქართველოსთან მოლაპარაკების საწარმოებლად ვიზების გამარტივებასა და რეადმისიის ხელშეკრულებებთან დაკავშირებით.

მიგრაციის სფეროში შემუშავდა მიგრაციის პოლიტიკის დოკუმენტის მეორე პროექტი, რომელიც ჯერ არ არის მიღებული. დღეისათვის შეიქმნა უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფი, რომელიც მიგრაციის პოლიტიკაზე მუშაობს. იუსტიციის სამინისტროს სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს დაევალა მიგრაციის მართვის ზოგადი სისტემის შემუშავება. ჯერ-ჯერობით არ შექმნილა მიგრაციული ნაკადების მართვის მონაცემთა ბანკი. საქართველოს არ მიუღია წესები თუ კანონმდებლობა შრომითი მიგრაციის რეგულირებისთვის. ჯერ კიდევ არ არსებობს კონონი მონაცემთა დაცვის შესახებ, მიუხედავად იმისა, რომ საქართველო ხელმომწერია ევროპის საბჭოს მონაცემთა დაცვის შესახებ კონვენციებისა, ასეთი კონვენციაა, მაგალითად კონვენცია მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებით პირთა დაცვის შესახებ.

ორგანიზებულ დანაშაულთან დაკავშირებით, საქართველოს ხელი არ მოუწერია და რატიფიცირება არ მოუხდენია ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის შესახებ გაეროს კონვენციის მესამე ოქმზე, რომელიც ცეცხლსასროლი იარაღის არალეგალურ დამზადებას და ტრეფიკინგს შეეხება.

ადამიანთა ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის 2007–8 წლებისთვის მიღებული ეროვნული სამოქმედო გეგმა სრულად განხორციელდა. ადამიანთა ტრეფიკინგის სფეროში სახელმწიფო სამსახურებს შორის წარმატებულმა თანამშრომლობამ განაპირობა ტრეფიკინგის მსხვერპლთა უკეთესი დაცვა, ტრეფიკინგის შემთხვევების ძალზე აქტიური გამოძიება და დევნა. მიმდინარეობს ადამიანთა ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის სახელმწიფო გეგმის განხორციელება. ძირითადი ყურადღება ეთმობა ტრეფიკინგის მსხვერპლთა რეაბილიტაციას და რეინტეგრაციას.

ნარკოტიკების ეროვნული სტრატეგია, რომელიც ორიენტირებული იქნება პრევენციაზე, ნარკოტიკების ტრეფიკინგის კრიმინალიზაციაზე და ახალგაზრდების დაცვაზე ჯერ კიდევ არ არის მიღებული. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს ნარკოტიკების ტრეფიკინგში ჩართული პირებისთვის ქონების ჩამორთმევას, ხოლო სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს ეტაპობრივ პრევენციულ საწესდებო მართვის, ვინც პირველად ჩაიდენს ნარკოტიკებთან დაკავშირებულ დანაშაულს, მაგალითად მართვის უფლების ჩამორთმევას. საქართველო მონაწილეობს სამხრეთ კავკასიის ანტინარკოტიკულ რეგიონულ პროგრამაში SCAD V, რომლის ფარგლებშიც ხდება ორმხრივი სამუშაო კონტაქტების დამყარება მეზობელ ქვეყნებთან. ნარკოტიკების სფეროში მომუშავე ძალოვანი სტრუქტურების პროფესიონალიზმი და შესაძლებლობები მუდმივ დახვეწას მოითხოვს, თუმცა, ამ უწყებას ჯერ კიდევ არ დაუსახელებია საკონტაქტო პირი აღნიშნული პროგრამისთვის.

ფულის გათეთრებასთან დაკავშირებით 2007 წელს, ევროპის საბჭოს Moneyval Group and Financial Action Task Force (FATF) –ის რეკომენდაციების შესაბამისად, საქართველომ შესწორებები შეიტანა სისხლის სამართლის კოდექსში, რაც ითვალისწინებს იმ ქონების ჩამორთმევას, რომელიც ფულის გათეთრების შედეგადაა მიღებული და ანგარიშების გაყინვას; ეს შესწორება განასხვავებს “არალეგალურს” ტრანზაქციებს იმ ტრანზაქციებისგან, რომლებიც “დოკუმენტების გარეშე” ხდება. 2008 წლის მარტში ფულის გათეთრების შესახებ კანონმდებლობა განიცდო და მასში შევიდა ვალდებულება, რომ FATF –ის რეკომენდაციების შესაბამისად, წარმოდგენილი იყოს სამართლებრივი ანგარიშები საგადასახადო სფეროში საკონსულტაციო, საქველმოქმედო/არამომგებიანი ორგანიზაციების, უძრავი ქონების აგენტების და ნაღდი ფულის გადამზიდავების შესახებ.

ამჟამად მიმდინარეობს საქართველოს კანონმდებლობის განახლება, რათა შესაძლებელი გახდეს ხელმოწერა და რატიფიცირება ევროპის საბჭოს „კონვენციისა დანაშაულიდან შემოსული შემოსავლების გათეთრების, ძიების, დაპატიმრების და კონფისკაციისა და ტერორიზმის დაფინანსების შესახებ“ (CETS 198). საჭიროა უფრო მეტი ძალისხმევა უწყებათაშორისი კოორდინირების და თანამშრომლობის გასაუმჯობესებლად.

საქართველო „მანივალის“ წევრია და დამკვირვებლის სტატუსით სარგებლობს ევრაზიის FATF –ის ჯგუფში. საჭიროა უფრო მეტი ძალისხმევა უწყებათაშორისი კოორდინირების და თანამშრომლობის გასაუმჯობესებლად.

საერთაშორისო და რეგიონული სამართლებრივი თანამშრომლობის სფეროში საქართველოსთან თანამშრომლობა ხორციელდება შემდეგი სამართლებრივი დოკუმენტების ფარგლებში: ევროპის საბჭოს 1959 წლის კონვენცია სამართლებრივი ურთიერთდახმარების შესახებ და მისი 1978 წლის დამატებითი ოქმი, ასევე ექსტრადირების შესახებ 1957 წლის ევროპის კონვენცია და 1993 წლის მინსკის კონვენცია სამართლებრივი დახმარების და სამართლებრივი ურთიერთობების შესახებ სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საკითხებში . სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი არ ითვალისწინებს მოკლევადიანი ექსტრადირების პროცედურას. მომავალი თანამშრომლობის განმტკიცების მიზნით, მეტი ყურადღება უნდა მიექცეს ფინანსური ჯარიმების და კონფისკაციის შესახებ ბრძანებების აღიარებას.

საქართველო მონაწილეა კერძო საერთაშორისო სამართლის შესახებ ჰააგის კონვენციისა და დაგეგმილი აქვს ყველა თანამდევი კონვენციის რატიფიცირება. საქართველო თანამშრომლობს დსთ–ს ქვეყნებთან სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საკითხებში სამართლებრივი დახმარების და სამართლებრივი ურთიერთობების შესახებ 1993 წლის მინსკის კონვენციის ფარგლებში. არ მომხდარა სამართლებრივი თანამშრომლობის სფეროში წარმატებული გამოცდილების გაზიარება ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებთან; არც სასამართლო და სამართალდამცავი სტრუქტურების ქსელი შექმნილა. არ ჩამოყალიბებულა დამოუკიდებელი სახელმწიფო

საზედამხედველო სტრუქტურა მონაცემთა დაცვის სფეროში, რაც გათვალისწინებულია პირადი მონაცემების ავტომატური დამუშავებისას პიროვნების დაცვის შესახებ ევროპის საბჭოს 2001 წლის კონვენციის დამატებითი ოქმის ხელმოწერითა და რატიფიცირებით. ევროპის საბჭოს შესაბამისი კონვენციის შესაბამისად, რომლის რატიფიცირება საქართველომ 2006 წლის აპრილში მოახდინა, უნდა გაუმჯობესდეს პირადი მონაცემების დაცულობა მათი ავტომატური დამუშავებისას.

6. ტრანსპორტი, ენერგეტიკა, გარემოს დაცვა, საინფორმაციო საზოგადოება, კვლევა და განვითარება

სატრანსპორტო სექტორში ადმინისტრაციის და მარეგულირებელი ორგანოების (დღეისთვის ეკონომიკის სამინისტროში დეპარტამენტის სახით ფუნქციონირებს ტრანსპორტის გაერთიანებული ადმინისტრაცია) რესტრუქტურირების მიუხედავად, მაინც საჭიროა სატრანსპორტო სფეროში სხვადასხვა მარეგულირებელი ორგანოების ადმინისტრაციული შესაძლებლობების გაზრდა და მათ მიერ ეფექტური ზედამხედველობის განხორციელება, განსაკუთრებით ტრანსპორტის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით.

გზების სფეროში მიმდინარეობს საქართველოს აღმოსავლეთისა და დასავლეთის დამაკავშირებელი სატრანსპორტო კორიდორის ცენტრალური ნაწილის მშენებლობა– მოდერნიზაცია. ამავე დროს, სატრანსპორტო უსაფრთხოების პროგრამის შემუშავების და განხორციელების მიზნით, მიმდინარეობს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს გზების დეპარტამენტის ადმინისტრაციული შესაძლებლობების გაძლიერება.

რკინიგზის სექტორში მიმდინარეობს რკინიგზის ინფრასტრუქტურის განახლება. ერევანი–თბილისის სარკინიგზო ხაზის რეაბილიტაცია 2008 წლის ოქტომბრის შუა რიცხვებში დაიწყო. საანგარიშო პერიოდში რკინიგზის პრივატიზების შესახებ, რაც ადრე იყო გაცხადებული, გადაწყვეტილება არ ყოფილა მიღებული.

მას შემდეგ, რაც სატრანსპორტო სექტორში არაერთი ცვლილება მოხდა, აუცილებელია, რომ გაუმჯობესდეს პასუხისმგებლობა უსაფრთხოებაზე და თანდათანობით მოხდეს საქართველოს კანონმდებლობის ევროპული უსაფრთხოების სტანდარტებთან დაახლოება. ამ მიზნით, სასურველია „დამმოხილვების“ ან სხვა მსგავსი პროექტის განხორციელება ევროკავშირთან. საქართველომ უნდა დააჩქაროს მონრეალის კონვენციის რატიფიცირება საერთაშორისო საჰაერო მიმოსვლის ზოგიერთი წესის უნიფიცირების მიზნით. კონკურენციის წახალისების მიზნით, საქართველო განაგრძობს საჰაერო ტრანსპორტის ლიბერალიზების პოლიტიკის განხორციელებას. 2007–2008 წლებში საქართველოდან რეისების რაოდენობა 112–დან 148–მდე გაიზარდა, ხოლო უცხოური ავიაკომპანიების რიცხვი 13–დან 19–მდე. მას შემდეგ, რაც რუსეთთან ურთიერთობა გაუარესდა, მოხდა რუსეთის საავიაციო კავშირების თურქეთზე, უკრაინასა და ევროკავშირის ქვეყნებზე გადანაწილება. 2004 წლიდან სამგზავრო და სატვირთო

საჭაერო გადაზიდვები ევროკავშირსა და საქართველოს შორის მნიშვნელოვნად იზრდებოდა წელიწადში, დაახლოებით 14%-ით. საანგარიშო პერიოდიდან დამოუკიდებლად, 2009 წლის თებერვალში, ევროკომისიამ მიიღო მანდატი ორმხრივი საჭაერო მიმოსვლის შესახებ მოლაპარაკების წარმართვაზე, რაც ევროკავშირსა და საქართველოს შორის ერთიანი საავიაციო სივრცის შექმნაზე ორიენტირებული.

საოღვაო უსაფრთხოება კვლავ შემფოთების საგნად რჩება. უკვე კარგა ხანია საქართველოს ხელისუფლებამ ვერ მოაგვარა პორტებზე სახელმწიფო კონტროლისა და მედროშე ქვეყნის განხორციელების საკითხები, რის შედეგადაც პორტებზე სახელმწიფოების კონტროლის შესახებ „პარიზის ურთიერთგაგების მემორანდუმის“ შავი სიის მიხედვით, საქართველოს ფლოტი კლასიფიცირებულია, როგორც „მაღალი რისკის“ ფლოტი. ყულევის საზღვაო პორტის მშენებლობა დასრულდა და პორტმა ფუნქციონირება დაიწყო. ფოთის საზღვაო პორტი პრივატიზებულია.

საქართველო განაგრძობს თავისი ენერგოპოლიტიკის განხორციელებას. ძირითად ღონისძიებებს შორისაა ელექტროენერგიის წარმოების სიმძლავრეების რეაბილიტაცია და მათი გაფართოება, ენგურის დიდი ჰიდროელექტროსადგურის ჩათვლით. საქართველომ გაამართლა ძირითადი სატრანზიტო ქვეყნის როლი კასპიის ენერგორესურსების ევროკავშირის ბაზარზე ტრანსპორტირების გზაზე. ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის (თურქეთი) ნავთობსადენი და ბაქო-თბილისი-ერზრუმის (თურქეთი) გაზსადენი ძირითადი ინფრასტრუქტურული ობიექტებია ამ თვალისზრისით. უფრო მეტიც, მოხდა ბაქო სუფსის (საქართველო) საექსპორტო ნავთობტერმინალის რეაბილიტირება და შავი ზღვის ყულევის ტერმინალის ამოქმედება. საქართველო განაგრძობს მონაწილეობას ევროკავშირის- შავი ზღვის-კასპიის ზღვის ქვეყნებს შორის თანამშრომლობის „ბაქოს ინიციატივაში“. ის აქტიურად მონაწილეობდა ევროკომისიის მიერ შესრულებულ კვლევაში ტრანსკასპიურ/შავი ზღვის ენერგო კორიდორის მშენებლობის შესაძლებლობის შესახებ. საქართველომ, აზერბაიჯანულ, ლიტვურ, პოლონურ და უკრაინულ კომპანიებთან ერთად, წამოიწყო ოდესა-ბროდის ნავთობსადენის პოლონურ პორტ გდანსკამდე გაგრძელების შესაძლებლობის შესახებ კვლევა. საქართველომ დაიწყო გაზის ინფრასტრუქტურის მოდერნიზება და მიწისქვეშა გაზსაცავის მიზანშეწონილობის შეფასება. ქართულ-აზერბაიჯანული შეთანხება ბუნებრივი აირის შესახებ 2008 წელს იქნა ხელმოწერილი. ამ შეთანხმების მიხედვით აზერბაიჯანი საქართველოსთვის ბუნებრივი გაზის მთავარი მიმწოდებელია. საქართველომ დაიწყო ფიქრი ნავთობის სტრატეგიული მარაგების რეზერვების შექმნის შესახებ.

ენერგეტიკის სფეროში მარეგულირებელმა უწყებამ დაიწყო ელექტროენერგიის ტარიფის ახალი მეთოდოლოგიის გამოთვლა და განახლებადი ენერგორესურსების პოპულარიზება. აზერბაიჯანმა, საქართველომ და თურქეთმა შეიმუშავეს გეგმა ამ ქვეყნებს შორის ელექტროკავშირების განმტკიცების შესახებ. ელექტროენერგიის სფეროში რეგიონის მასშტაბით ინტეგრირების პროცესის გასამართივებლად, საქართველომ, („ევროკავშირის სამეზობლო და პარტნიორობის ინსტრუმენტის“)

ფარგლებში მიიღო ასიგნებები „სამეზობლო საინვესტიციო მექანიზმიდან.“ მოსამზადებელი სამუშაოები ჩატარდა შავი ზღვის ენეოგადაცემის სისტემის პროექტის ფარგლებში, რომელიც არის ნაწილი საქართველო–თურქეთი–აზერბაიჯანის მაღალი ძაბვის გადამცემი ხაზებისა. საქართველომ და თურქეთმა წამოიწყეს კვლევა ელექტროსისტემების დაკავშირების შესაძლებლობის შესახებ. საქართველო–სომხეთის ელექტროსისტემებს შორის კავშირების მშენებლობა წარმატებით მიმდინარეობდა. საქართველო დამკვირვებლის სტატუსით მონაწილეობდა ენერგეტიკის თანამეგობრობის შეხვედრებზე. საქართველომ მოახდინა ელექტროქსელების მოდერნიზება და დაამონტაჟა ელექტრომრიცხველები ქალაქებში. 2008 წლის აპრილში მთავრობამ მიიღო 2008 წლის სახელმწიფო პროგრამა განახლებადი ენერგორესურსების თაობაზე. ენერგოეფექტურობის და განახლებადი ენერგორესურსების შესახებ კანონის შემუშავების პროცესი დაწყებულია. საქართველომ წამოიწყო ბირთვული და რადიაციული მასალების აღმოჩენის სფეროში გეგმის შემუშავება.

კლიმატის ცვლილების სფეროში, საქართველო განაგრძებს კლიმატის სტრატეგიაზე მუშაობას, პოლიტიკის არსებულ პირობებთან მისადაგებას და ამზადებს მეორე სახელმწიფო კომუნიკაციას კლიმატის ცვლილების შესახებ, რომელიც მოიცავს ადაპტირების და პოტენციური ზიანის შესახებ კვლევებს. დასრულდა სათბურის ეფექტის შედეგად მიღებული გაზების ემისიის 2000–2006 წლების ინვენტარიზაცია; სექტემბერში გამოქვეყნდა პირველი ანგარიში. საქართველომ გადადგა ნაბიჯები იმისთვის, რომ მოემზადებინა და დაემტკიცებინა შემდგომი პროექტები „სუფთა განვითარების მექანიზმის“ ფარგლებში. 30–ზე მეტი ქართული პროექტიდან მხოლოდ ერთი იქნა რეგისტრირებული გაეროს დონეზე, ევროკომისია განაგრძობს საქართველოს დახმარებას კიოტოს ოქმის განსახორციელებლად. საქართველოს ჯერ არ გამოუმუშავებია ოფიციალური პოზიცია 2012 წლის შემდგომი პერიოდისთვის.

რაც შეეხება **გარემოს დაცვას**, საქართველოს წყლის და ნარჩენების ინფრასტრუქტურა, ისევე როგორც ქვეყნის ბიომრავალფეროვნება, 2008 წლის აგვისტოს კონფლიქტის შემდეგ მნიშვნელოვნად დაზარალდა. დაგეგმილია 2009–2012 წლების გარემოს დაცვის მეორე ეროვნული პროგრამის პროექტის განახლება და დასრულება. კანონმდებლობა შემდგომ დახვეწას მოითხოვს, განსაკუთრებით მისი აღსრულების კუთხით, მაგრამ. 2008 წელს არ ყოფილა მიღებული ახალი გარემოსდაცვითი კანონმდებლობა. მიუხედავად ამისა, მიმდინარეობს მუშაობა წყლის, ნარჩენების და ბუნების დაცვის კანონმდებლობაზე, ასევე, სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის წესებზე. მიმდინარეობს, აგრეთვე, ტყის სექტორში პოლიტიკის ამსახველ დოკუმენტზე მუშაობა. წყლის რესურსების მართვის რეფორმა შეჩერებულია. გადაიდგა გარკვეული ნაბიჯები ვადაგასული პესტიციდების საკითხებთან დაკავშირებით. საქართველომ გადადგა ნაბიჯები გარემოსდაცვითი მონიტორინგის სისტემის და გარემოსდაცვითი ინსპექტირების სამსახურების გაძლიერების თვალსაზრისით. საჭიროა, რომ მუდმივად ეთმობოდეს ყურადღება არსებული პოლიტიკის და გეგმების განხორციელებას, უნდა გაძლიერდეს მონიტორინგი და განმტკიცდეს გადაწყვეტილებების აღსრულების სისტემა.

ყოფილი გარემოს დაცვის და პროგნოზირების ცენტრი ეროვნულ გარემოსდაცვით სააგენტოდ გარდაიქმნა. გარემოს დაცვის და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს დაქვემდებარებული ყოფილი დეპარტამენტი – დაცული ტერიტორიების სააგენტოდ. თუმცა, ჯერ კიდევ აუცილებელია ქვეყნის ყველა დონეზე ადმინისტრაციული შესაძლებლობების გაზრდა, რაც ჯერ კიდევ განუხორციელებელ ამოცანად რჩება. უწყებებს შორის კოორდინირებას მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს. არ აღინიშნება მნიშვნელოვანი წინსვლა გარემოსდაცვითი საკითხების სხვა სექტორებში ინტეგრირების კუთხით. საქართველომ გადადგა ნაბიჯები 2006 წლის გარემოს დაცვის მდგომარეობის შესახებ ანგარიშის მომზადებაში. მნიშვნელოვანი ყურადღება უნდა დაეთმოს საზოგადოების მონაწილეობასა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობას, მიუხედავად იმისა, რომ აარჰუზის ცენტრი ფუნქციონირებას განაგრძობს. გარემოზე ზემოქმედების შეფასებასთან დაკავშირებით არავითარი წინსვლა არ აღინიშნება, რადგან სახელმწიფო პროექტები კვლავაც გათავისუფლებულია გარემოზე ზემოქმედების შეფასების ვალდებულებისგან. გარკვეული ნაბიჯები გადაიდგა სტრატეგიული გარემოსდაცვით შეფასების განხორციელების გზაზე. კავკასიის რეგიონული გარემოსდაცვითი ცენტრის შესახებ იხილეთ ქვეთავი რეგიონული განვითარების შესახებ.

საქართველოს არ მოუხდენია რატიფიცირება გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიის კონვენციის „გარემოზე ზემოქმედების შეფასება ტრანსსასაზღვრო კონტექსტში“ ოქმისა სტრატეგიულ გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ; ხელი არ მოეწერა გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიის კონვენციას ტრანსსასაზღვრო წყლის ნაკადებში და საერთაშორისო ტბების დაცვის და მოხმარების შესახებ; საქართველო არც გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიის საწარმოო კატასტროფების ტრანსსასაზღვრო შედეგების შესახებ კონვენციაზე მოუწერია ხელი და არც გაეროს კონვენციაზე „გარემოზე ზემოქმედების შეფასება ტრანსსასაზღვრო კონტექსტში.“ რამდენიმე უკვე რატიფიცირებული შეთანხმება განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს. საქართველომ მონაწილეობა მიიღო დუნაი-შავი ზღვის სამუშაო ჯგუფში, აგრეთვე, ევროკავშირის წყლის ინიციატივაში, სადაც ოფიციალურად იქნა წამოწყებული ნაციონალური დიალოგი პოლიტიკის სფეროში, ასევე შეიქმნა საერთაშორისო კომისია შავი ზღვის დაბინძურებისგან დაცვის საერთაშორისო კომისია, ჩამოყალიბდა თანამშრომლობა და ინფორმაციის გაცლა ევროკომისიასა და საქართველოს შორის, წყლის, ტყის ნარჩენების მართვის, გარემოსდაცვითი მონაცემების, ბიომრავალფეროვნების, მიწის მართვის და გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების განმტკიცების სფეროში. ისეთი საკითხები, როგორიცაა ჰაერის ხარისხი და სამოქალაქო დაცვა აღიარებულ იქნა, როგორც თანამშრომლობის შესაძლო სფეროები.

2008 წლის აგვისტოს კონფლიქტის შემდეგ მობილიზებული იყო ევროპული თანამეგობრობის **სამოქალაქო დაცვის** მექანიზმი, რამაც შესაძლებელი გახადა ევროკავშირის მიერ დახმარების გაწევა სამოქალაქო დაცვის სფეროში. საქართველომ და ევროკომისიამ განიხილეს მოლაპარაკებების დაწყების შესაძლებლობა ორმხრივი

ადმინისტრაციული თანამშრომლობის მექანიზმის შესახებ სამოქალაქო დაცვის სფეროში.

საინფორმაციო საზოგადოების სფეროში ელექტრონული კომუნიკაციების ბაზარი კონკურენციისთვის სრულიად ღიაა, მაგრამ ადგილობრივი და შორ მანძილზე მომსახურების სფეროში ჯერ კიდევ ფიქსირებული ქსელის ოპერატორის მიერ ხორციელდება. მარეგულირებელი ორგანო – საქართველოს ეროვნული კომუნიკაციების კომისია – შეიმუშავებს წესებს ფიქსირებული და მობილური მომსახურების ტარიფების, ასევე ურთიერთკავშირის საფასურის შესახებ. დამატებითი ლიცენზიები GSM სიხშირეებისა და WIMAX მომსახურებისთვის აუქციონის წესით გაიყიდა და განაწილდა. ინტერნეტმომსახურება ჯერ კიდევ არ არის განვითარებული, მარეგულირებელი ორგანოს დაგეგმილი აქვს broadband –ის გაზრდა.

საქართველოს კანონმდებლობა **აუდივიზუალურ** სფეროში ჯერ კიდევ არ შეესაბამება მედია რეგულირების ევროპულ სტანდარტებს. კომუნიკაციების ეროვნული კომისიის დღევანდელი კანონმდებლობა და პრაქტიკა არ იძლევა არასრულწლოვანებისა და სხვა მომხმარებლების დაცვის შესაძლებლობას. ფილმები და პროგრამები, რომლებიც ბავშვებისთვის არ არის განსაზღვრული, კვლავ შეუფერებელ დროს გადაიცემა. საქართველოს არ მოუხდენია რატიფიცირება ევროპის საბჭოს კონვენციისა ტრანსსასაზღვრო ტელევიზიის შესახებ.

კვლევისა და ინოვაციის სფეროში ღონისძიებები საკმაოდ შეზღუდულია. კვლევის მე-7 ჩარჩო პროგრამაში საქართველომ ვერ მოახერხა მნიშვნელოვანი მონაწილეობა მე-6 ჩარჩო პროგრამასთან შედარებით. თუმცა, მონაცემები შედარებით წარმატებული მონაწილეობის შესახებ ადასტურებს, რომ გაუმჯობესდა განაცხადების ხარისხი, განსაკუთრებით კვლევის ინფრასტრუქტურის, საერთაშორისო თანამშრომლობის და ჯანდაცვის სფეროებში. INCO-NET პირველი კონკურსის შედეგად, 2008 წლის 1 იანვარს დაიწყო პროექტი IncoNet EECA (აღმოსავლეთ ევროპის და ცენტრალური აზიის ქვეყნების მეცნიერების და ტექნოლოგიის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის ქსელი). მისი ხანგრძლივობა ოთხი წელია. პროექტისთვის საერთაშორისო ხასიათის მინიჭების მიზნით, ევროკავშირის და EECA-ს 21 ქვეყნის 23 ინსტიტუტისგან შეიქმნა კონსორციუმი, რომლის მონაწილე საქართველოც არის.

7. კონტაქტები ადამიანებს შორის, განათლება და ჯანდაცვა

უმაღლესი განათლების რეფორმირების პროცესში ძირითადი ყურადღება ეთმობოდა ევროპულ სტანდარტებთან დაახლოებას ბოლონიის პროცესის პრინციპების შესაბამისად. ამ თვალსაზრისით ევროკავშირის „ტასისის“ პროგრამის ხელშეწყობით დაარსებული ევროპული კვლევების ცენტრი, რომელიც ბოლონიის სტანდარტებით ხელმძღვანელობს, მაგალითად შეიძლება გამოდგეს. ამასთან, 2008 წლის ნოემბერში საქართველომ უმასპინძლა ევროპის საბჭოს ბოლონიის რეგიონულ კონფერენციას ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოების თვითსერტიფიცირების შესახებ. საქართველო

სამთავრობო დონეზე გახდა წევრი ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული რეესტრისა. მიუხედავად იმისა, რომ უმაღლესი დაწესებულებები და უნივერსიტეტები იცნობენ ბოლონის პროცესის მოთხოვნებს, სტრუქტურული ცვლილებების გატარებას სჭირდება სტრუქტურიზებული კოორდინირება ეროვნულ დონეზე და კონსენსუსი მიღწევაზე მიმართული დამატებითი ღონისძიებები. საუნივერსიტეტო პროგრამები ჯერ კიდევ არ პასუხობს შრომითი ბაზრის მოთხოვნებს.

ქართული უნივერსიტეტები და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები აქტიურად მონაწილეობდნენ პროგრამა „ტემპუსში“. პროგრამა „ტემპუს IV“-იდან სამი პროგრამა ფინანსდება. „ერაზმუს მუნდუსის“ ფარგლებში 2008–09 წლებში დაფინანსდა ათი სტუდენტი და ერთი მეცნიერი. 2008–09 აკადემიური წლის განმავლობაში კიდევ ცხრა ქართველმა სტუდენტმა მიიღო დაფინანსება ევროპული ინტეგრაციის კვლევის სფეროში მაგისტრის ხარისხის მოსაპოვებლად ევროპის სამეზობლოს სპეციალური საცდელი პროექტის ფარგლებში. სტუდენტების და აკადემიური წრეების მობილურობა კიდევ უფრო გააქტიურდა „ერაზმუს მუნდუსის“ საგარეო თანამშრომლობის პროგრამაში მონაწილეობის შედეგად. საჭიროა ძალზე სწრაფად მოხდეს ევროკავშირის პროგრამების შესახებ დაინტერესებულ პირთა გათვითცნობიერებულობა, იმისთვის, რომ თავიდან იქნეს აცილებული საერთაშორისო თანამშრომლობის შესაძლებლობების შესახებ ინფორმაციის მონოპოლიზაცია.

პროფესიული განათლების და ტრეინინგის სფეროში 2008 წლის იანვარში ფუნქციონირება დაიწყო ეროვნულმა პროფესიულმა სააგენტომ. მისი მიზანია სექტორული რეფორმების მხრდაჭერა, რომ განხორციელდეს კომპეტენციაზე დამყარებულ სტანდარტებთან და კვალიფიკაციასთან დაკავშირებული საქმიანობა, მასწავლებელთა ტრეინინგი, კარიერის განვითარების სფეროში დახმარება და ტრეინინგის დახვეწა ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად. განათლების და მეცნიერების სამინისტრომ 2008 წლის დეკემბერში ჩაატარა კონფერენცია პროფესიული განათლების და ტრეინინგის დაფინანსების შესახებ იმისთვის, რომ წვლილი შეიტანოს სამინისტროს მიერ პროფესიული განათლების და ტრეინინგის რეფორმირების სტრატეგიის შემუშავებაში. 2009 წლის სექტორული პოლიტიკის მხრდაჭერის პროგრამა პროფესიული განათლების და ტრეინინგის სფეროში მთავრობასთან შეთანხმდა. ევროპის ტრეინინგის ფონდის დახმარებით შეიქმნა კოორდინაციის გაუმჯობესებული მექანიზმი. მას საფუძვლად დაედო დიალოგი ამ სფეროში მომუშავე ადამიანებთან და რეფორმებთან დაკავშირებული კვლევა. მთელი სიცოცხლის მანძილზე განათლების ფარგლებში, საქართველომ შეიმუშავა ზრდასრულთა განათლების პირველი ეროვნული ანგარიში იუნესკოს 2009 წლის მსოფლიო კონფერენციაზე წარსადგენად. პროფესიულ განათლებაში თანაფარდობის და პროფესიული განათლებისა და ტრეინინგის უფრო მეტი ხელმისაწვდომობა, განსაკუთრებით ქალებისა და ეკონომიურად გაჭირვებული ადამიანებისთვის, კვლავ ძირითად პრორიტეტად რჩება; პრიორიტეტულია, აგრეთვე, სტრუქტურული უმუშევრობის დაძლევა უნარჩვევების და წინასწარი სწავლების უკვე შეთანხმებული მექანიზმის შემუშავება.

პროფესიული მომზადება და განათლება მუდმივ ინვეტირებას საჭიროებს; აუცილებელია, ასევე ოპტიმალური გამჭვირვალობის უზრუნველყოფა და ყველა დაინტერესებული მხარის მონაწილეობა. საქართველო განაგრძობს „ახალგაზრდობა მოქმედებაში“ პროგრამით სარგებლობას და დახმარებას უწევს **ახალგაზრდულ** პროექტებს, რომელშიც შედის გაცვლითი პროგრამები, მოხალისეთა საქმიანობა და სხვა არაფორმალური საგანმანათლებლო საქმიანობა. ახალგაზრდული საინფორმაციო ცენტრის დაარსება და სტრუქტურულიზებული დიალოგის წარმოება ახალგაზრდულ ორგანიზაციებსა და სამინისტროებს შორის, დაეხმარება სამომავლო საქმიანობას ამ სფეროში.

კულტურის სფეროში 2008 წლის ივლისში საქართველომ მოახდინა 2005 წლის იუნესკოს კონვენციის რატიფიცირება კულტურული გამოხატვის მრავალფეროვნების შესახებ.

საქართველო განაგრძობდა **ჯანდაცვის** სექტორის რეფორმირებას, საფინანსო, პირველადი ჯანდაცვის, მეორადი ჯანდაცვის სფეროს (საავადმყოფოების) პრივატიზების და ღარიბთათვის უფრო ხელმისაწვდომი მომსახურების ჩათვლით. ამ საქმიანობასთან ერთად, 2008 წლის მაისში მთავრობამ წამოიწყო ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამები. ჯერ კიდევ არ არის შემუშავებული ჯანდაცვის ზოგადი სტრატეგია. მიღებულია ინფექციური დაავადებების პროგრამა, რომელიც მოემსახურება ისეთ დაავადებებს, როგორიცაა ტუბერკულოზი.

საქართველო მონაწილეობს ევროკავშირის **ჯანდაცვის** შესახებ ინფორმაციის და ცოდნის გავრცელების სფეროში მოღვაწე კომპეტენტური ორგანოების ქსელში. საქართველომ გადადგა ნაბიჯები 2008 წლის აგვისტოს შეიარაღებული კონფლიქტის შედეგების აღმოსაფრხვრელად ჯანდაცვის სფეროში. სხვა ნაბიჯებთან ერთად, ქვეყანაში შემუშავდა დაზიანებული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის გეგმა, განმტკიცდა დაავადებებზე კონტროლის მექანიზმი კონფლიქტით დაზარალებულ რეგიონში, მზრუნველობა გაეწია დაზარალებულებს ფსიქოლოგიური ტრავმის შემსუბუქების მიზნით და გაიხსნა ჯანდაცვის ობიექტები იძულებით გადაადგილებული ადამიანებისთვის.

8. ფინანსური თანამშრომლობა – 2008 ძირითადი ფაქტები და მონაცემები

ევროკავშირის მიერ საქართველოსთვის შემუშავებული „2007–2010 წლების ეროვნული ინდიკატური პროგრამით“ გათვალისწინებული ფინანსური პაკეტი „ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ინსტრუმენტის“ ფარგლებში შეადგენს 120.4 მილიონ ევროს. პროგრამის მიზანია იმ ძირითადი პოლიტიკური ამოცანების მხარდაჭერა, რომლებიც „ევროპის სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმითაა“ გათვალისწინებული და შემდეგ ოთხ პრიორიტეტულ სფეროზეა მიმართული: კარგი მმართველობის და დემოკრატიის განვითარება, სამოქმედო გეგმით განსაზღვრულ სფეროებში მარეგულირებელი რეფორმების მხარდაჭერა, ეკონომიკური განვითარება და სიღარიბის შემცირება და კონფლიქტების მშვიდობიანი მოგვარება.

მიმდინარეობს 2007 წლის „ყოველწლიური სამოქმედო პროგრამით“ გათვალისწინებული საქმიანობა. სახელმწიფო ფინანსების მართვის რეფორმირების მიზნით დაწყებული სექტორული საბიუჯეტო დახმარების პროგრამა თავდაპირველი გეგმის მიხედვით ხორციელდება. „დამმობილების“ პროგრამა, „ტაიექსი“ და „სიგმა“ საშუალებას იძლეოდა უფრო მოქნილი ჩარევების განხორციელებას და გამიზნული იყო ადმინისტრაციული და ინსტიტუციური შესაძლებლობების გაზრდასა და სამოქმედო გეგმის განხორციელების მხარდაჭერაზე.

2008 წელს ევროკომისია აგრძელებდა საქართველოში მიმდინარე რეფორმების პროცესის მხარდაჭერას; დახმარების საერთო თანხამ 28.8 მილიონი ევრო შეადგინა. 2008 წლის ყოველწლიური სამოქმედო პროგრამაში, რომელიც 2008 წლის სექტემბერში იქნა მიღებული, ძირითადი ყურადღება დაეთმო სამართლებრივ რეფორმას და „დამმობილებაზე“ მიმართულ საქმიანობას, რაც „სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმის“ განხორციელების მხარდაჭერას ემსახურებოდა.

2008 წლის აგვისტოს რუსეთთან კონფლიქტის შედეგად შექმნილი საგანგებო სიტუაციის გამო, საქართველოსთვის დახმარების გაწევის საჭიროება საგრძნობლად გაიზარდა. საქართველოს დასახმარებლად გამართულ დონორთა საერთაშორისო კონფერენციაზე, რომელიც 2008 წლის ოქტომბერში ჩატარდა, ევროკავშირმა საქართველოს დასახმარებლად 2008–2010¹ წლებისთვის 500 მილიონი ევროს გამოყოფის შესახებ განაცხადა. დღეისთვის რიგი პროექტებისა უკვე ხორციელდება, მაგალითად ჰუმანიტარული დახმარება (ევროკომისიის ჰუმანიტარული დახმარების დეპარტამენტიდან („ექო“) 8 მლნ ევრო), იძულებით გადაადგილებულ პირთა მხარდაჭერა (ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ინსტრუმენტიდან – 61.5 მილიონი ევრო და სტაბილურობის ინსტრუმენტიდან – 15 მილიონი ევრო), ფინანსდებიან, აგრეთვე ევროკავშირის დამკვირვებლები ევროპის უსაფრთხოების და თავდაცვის პოლიტიკის ფარგლებში.

„ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ინსტრუმენტიდან“ აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის კონფლიქტურ ზონებში რეაბილიტაციის პროგრამისთვის ადრე გაწეული დახმარება, რომელიც მიზნად ისახავდა ნდობის აღდგენას და კონფლიქტების მშვიდობიან მოგვარებას, აგვისტოს კონფლიქტის შედეგად შეფერხდა. თუმცა, ევროკომისია, რჩება რა ერთგული კონფლიქტების მშვიდობიანი გადაწყვეტის პრინციპისა, ეძებს რეალურ გზებს ამ ტიპის დახმარების გასაგრძელებლად „ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ინსტრუმენტის“ ფარგლებში.

საქართველოს აქვს შესაძლებლობა, ისარგებლოს თანამშრომლობაზე მიმართული იმ ღონისძიებებიდან, რომლებიც „ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ინსტრუმენტის“ ფარგლებში ფინანსდება რამდენიმე ქვეყანაზე გათვლილი და რეგიონული პროგრამებიდან; ასევე, „ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ინსტრუმენტის“ საზღვრის მიღმა თანამშრომლობის კომპონენტით. „სამეზობლოს საინვესტიციო მექანიზმის ფარგლებში“ 2008 წელს საქართველოსთვის დამტკიცდა თანხა პროექტისთვის,

რომელიც ითვალისწინებს 8 მილიონი ევროს ტექნიკურ დახმარებას; მოსალოდნელია, რომ ეს ტექნიკური დახმარება იქნება საწინდარი ევროპული საფინანსო ინსტიტუტებიდან ენერგეტიკის სექტორში 200 მილიონი ევროს სესხის მოზიდვისთვის. საქართველო მონაწილეობს შავი ზღვის აუზის ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის პროგრამაში (17 307 მილიონი ევროს ოდენობის ბიუჯეტი 2007–13 წლებისთვის), რომელიც 2008 წელს იყო მიღებული. შავი ზღვის საზღვრისპირა რეგიონების მოსახლეობა მიიღებს დაფინანსებას ერთობლივი თანამშრომლობის პროექტებიდან, რომლებიც მიზნად ისახავს მდგრადი განვითარებისა და ადამიანებს შორის კონტაქტების ხელშეწყობას.

დამატებით 2.65 მილიონი ევრო იყო გამოყოფილი საქართველოსთვის 2007–2008 წლებში თემატური პროგრამის „არასახელმწიფოებრივი აქტორები და ადგილობრივი ხელისუფლება განვითარების პროცესში.“

1 ორმხრივი „რეგულარული პროგრამები“ და „პოსტ-კრიზისული“ პროგრამები

2 „შავი ზღვის ენერგოგადაცემის სისტემის“ შესახებ ინფორმაციის მისაღებად იხილეთ:
http://ec.europa.eu/europeaid/where/neighbourhood/regional-cooperation/irc/investment_en.htm